გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 21
(11 682)

25 – 27 მარტი (სამშაბათი – ხუთშაბათი), 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოსკოვის თასი ელენა გედევანიშვილმა მოიგო

ციგურაობა

მოსკოვის თასის ღია გათამაშება ციგურაობაში ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა. ძირითადად საბჭოთა კავშირის პირველობა ამ ასპარეზობით შეიცვალა და მასში დსთ-ს ქვეყნების ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობს. სენსაციად იქცა ამ შეჯიბრებაში 12 წლის თბილისელი მოსწავლის ელენა გედევანიშვილის მონაწილეობა. ამ გოგონამ, რომელსაც მოსკოვში ცნობილი მწვრთნელი ელენა ვოდერეზოვა ამზადებს, ისეთი ილეთი აჩვენა, რომელიც ჯერ არავის შეუსრულებია – ნახტომში 3,3 ბუნი. საერთო შეფასებაც მაღალი იყო და გახდა რა უძლიერესი, ელენა გედევანიშვილი მოსკოვის თასს დაეუფლა.

„ელენა ჩვენი სკოლის აღსაზრდელია. აღფრთოვანებულმა დამირეკა და მომილოცა წარმატება არა მხოლოდ მისმა პირადმა მწვრთნელმა მოსკოვში, არამედ რამდენიმე სპეციალისტმა. ყველას დასკვნა ერთია “ქართველ გოგონას ბრწყინვალე მომავალი აქვს“ – გვითხრა თბილისის მერიის საციგურაო სკოლის დირექტორმა ირაკლი ჯაფარიძემ.

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

ნახევარ საუკუნეზე მეტია ოსი და ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრებს ალალად ემსახურება 50-იან – 60-იან წლებში „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი სამხრეთ ოსეთში ნოდარ ზადიშვილი (ზადიევი). ახლა იგი ვლადიკავკაზშია და იქიდან ხშირად გვეხმიანება. იქაურ – მთავარ და ყოველდღიურ გაზეთ „ვლადიკავკაზში“ ბატონი ნოდარი უძღვება რუბრიკას „თქვენთვის, ერუდიტებო!“ სადაც ფართო მკითხველს აცნობს ოსი და ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრობას. ყველასათვის კარგადაა ცნობილი ამ ორი ხალხის ფალავნების სანიმუშო ძმობაც, რასაც ეხმაურება წერილი, სოსლან ანდიევზე, რომელიც ჩვენმა ვეტერანმა ავტორმა ვლადიკავკაზიდან მოგვაწოდა და დღეს ვაქვეყნებთ (იხ. მე-2 გვ).



ВЛАДИКАВКАЗ

КОНКУРС ПРОДОЛЖАЕТСЯ!

ДЛЯ ВАС, ЭРУДИТЫ!

ИЗ ИСТОРИЧЕСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ ОСЕТИНСКОГО И ГРУЗИНСКОГО НАРОДОВ

ИЗ ОСЕТИНО-ГРУЗИНСКОЙ СПОРТИВНОЙ ДРУЖБЫ

მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადებიდან 65 წლის იუბილეს ულოცავს, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს, ფიფას არბიტრს **ანატოლი მილჩენკოს**.

წოდების მინიჭება

საქართველოში კალათბურთის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიანიჭა სპორტის ოსტატს, საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს და თასის მფლობელს, მრავალი საერთაშორისო ტურნირების და თამაშების გამარჯვებულს ვაჟა უღენტს.

ჩივაძემ ნაკრები შეავსო

როგორც შეპირებული იყო, ჩემპიონატის მორიგი ტურის დასრულების შემდეგ ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ საქართველოში მოთამაშე ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც ადრე გამოცხადებულ ლეგიონს შეუერთდებიან და ირლანდიისა და შვეიცარიის ნაკრებებთან საპაექროდ მოემზადებიან. ნაკრები ამ ორ დღეში დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდება. **ჩივაძის მიერ ამჯერად მოხმობილი ექვსი ფეხბურთელია.** ***მეკარეები:*** გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), დავით გვარამაძე (დინამო თბ); ***მცველები:*** ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი (ყველა — დინამო თბ); ***ნახევარმცველი:*** დავით კვირკველია (დინამო თბ).

ხვალ 12-30 საათზე ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრის ტერიტორიაზე ჩივაძე ჟურნალისტებს შეხვდება და პრესკონფერენციას გამართავს. სამწუხაროდ, ნაკრებს უკვე გამოკლდა ტრავმირებული კახი კალაძე.

უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ

ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელმაც დაასახელა იმ მოჭადრაკეთა ვინაობა, უმაღლეს ლიგაში რომ იასპარეზებენ. შეჯიბრება შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. დებულების თანახმად, საუკეთესო 8 მოჭადრაკეს ეძლეოდა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება.

7,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო მიხეილ ჭიპაშვილმა. 7-7 ქულა მოაგროვეს გიგა ყუფარაძემ, კონსტანტინე შანავამ და ლევან აროშიძემ.

6,5-6,5 ქულით მეხუთე-მერვე ადგილები გაიყვეს ივერი ჭილაძემ, იოსებ კვირიაშვილმა, თამაზ მგელაძემ და თორნიკე სანიკიძემ. აღმოჩნდა, რომ ამ საუკეთესო მოჭადრაკეთა შორის, ერთ მათგანს — კონსტანტინე შანავას ტურნირამდეც ჰქონია უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოპოვებული, რის გამოც მეცხრე ადგილზე გასულ მოჭადრაკეს უნდა მიკუთვნებოდა საგზური.

ეს ბედნიერება წილად ხვდა დავით მალალაშვილს, რომელმაც, მართალია, 9 მოჭადრაკესთან ერთად 6-6 ქულა მოაგროვა, მაგრამ მეტოქეებთან შედარებით უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა.

ჩეხებსაც სძლიეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მორიგი მატჩი მოიგო ევროპის ერთა თასის გათამაშებაზე. ამჯერად, პრაღაში დაამარცხეს ჩეხეთის ნაკრები.

მართალია, ჩეხეთის ნაკრები არ მიეკუთვნება სარაგბო ელიტას, თუმცა ქართველები მაინც ფხიზლობდნენ. „ბორჯღალოსნებმა“, რომელთა რიგებშიც არ იყვნენ ძმები გიორგაძეები, ურჯუკაშვილი და ცაბაძე, პირველ ტაიმში ორი ლელო გაუტანეს ჩეხებს, შემდეგ „მოეშვნენ“ და მეტოქეს საშუალება მისცეს ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეემცირებინათ პირველივე ტაიმში. შესვენების შემდეგ ქართველმა მორაგბეებმა კვლავ ხელთ იგდეს უპირატესობა და სამი ლელო გაიტანეს. ერთადერთი, რაშიც კლოდ სორელის შეგირდებს ჩავარდნა ჰქონდათ, საჯარიმოებისა და გარდასახვების გამოუყენებლობა იყო: მთავარი სნაიპერი პალიკო ჯიმშელაძე აშკარად ვერ იყო ჩვეულ ფორმაში, თუმცა საქართველოს ნაკრებმა მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება და სოლიდური ანგარიშითაც — 30:15.

სატურნირო მდგომარეობა:

პორტუგალია	4	0	0	+57	12
საქართველო	4	0	1	+48	10
რუმინეთი	3	0	1	+35	7
რუსეთი	3	0	2	+16	5
ესპანეთი	1	0	4	-89	4
ჩეხეთი	0	0	2	-48	2

შეხვედრაში გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო:

„**ჩეხეთი:** ოსვალდი, შუსტერი, კოლარეკი, კურკა, რილა, მ. პეკარეკი. ვონდაშეკი, მასარჩუკი, სიროვნი, კაპკა, რაკი, ი. პეკარეკი, ბრადეცი, იგრი.

სათადარიგონი: ფიშერი, კრალინი, გიგლი, რიბჩიკი, კ. პეკარევი, ვოლვსი, მარეკი, ზემანი, სკალი, ზასტნი.

საქართველო: შველიძე, რატიანიძე, ნადირაძე, მთიულიშვილი, დიდებულიძე, ლაბაძე, იაშვილი, მჭედლიშვილი, ზედგენიძე, აბუსერიძე, ჯიმშელაძე, კაცაძე, ზიბზიბაძე, ხეხელაშვილი, ხამაშურიძე.

სათადარიგონი: ბოლიაშვილი, კვირიკაშვილი, გუნდიშვილი, ხინჩაგაშვილი, ჩხაიძე.

ამავე ტურში რუსეთის ნაკრებმა მარცხი იწვნია სტუმრად რუმინეთის გუნდთან შეხვედრაში ანგარიშით 23:12, ხოლო პორტუგალიელებმა 35-16 სძლიეს.

ბოლო ტურში საქართველოს ნაკრები მასპინძლობს რუმინეთის გუნდს. „ბორჯღალოსნებს“, რა თქმა უნდა, მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს, თუმცა მათ მიერ ევროპის ერთა თასის მოპოვება რუსეთის ნაკრებზეცაა დამოკიდებული, — „დათვებმა“ აუცილებლად უნდა მოუგონ პორტუგალიელებს.

თენგიზ ჩოგანიძე

ნომერში წაიკითხავთ:

- ოსეთი და საქართველო ფალავანთა და ძმების სამჭედლო
- მორცხვი ფეხბურთელი – ლევან შავგულიძე
- ქოქაშვილის არაჩვეული გამარჯვება მოსკოვში
- 101 ვარჯიში ნორჩი ფეხბურთელებისთვის
- ანატოლი მილჩენკო – შემთხვევითი მსაჯობიდან ფიფას არბიტრობამდე
- საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები
- კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

თბილისი
ქართველთა გაზეთი

ციტატა

გაზეთი „თბილისი“ ძველ ხიბლს არ კარგავს და, გარდა იმისა, რომ სპორტს ტრადიციისამებრ დიდ ადგილს უთმობს, ამ თემაზე გაზეთის „არასპორტულ“ გვერდებზეც შეიძლება ამოიკითხოთ საყურადღებო სტრიქონები. ამ დღეებში გაზეთმა, მაგალითად, გამოაქვეყნა ეკა ბუჩიაშვილის ვრცელი წერილი ოპერის თეატრზე და მის ხელმძღვანელზე. ეს კაცი კი ზურაბ ლომიძეა, ჩვენი სპორტული სამყაროსთვის ესოდენ ცნობილი და პატივსაცემი პიროვნება. აი რას ამბობს ყოფილი წყალბურთელი. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი ზ. ლომიძე ზემოხსენებულ წერილში:

„ — მაშინ, ქართული წყალბურთი ზენიტში იყო, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ან მეორე ადგილზე ვიყავით ან მესამეზე (პირველზე, როგორც წესი არ გვიშვებდნენ). ფინალში, ყოველთვის მოსკოვის უძლიერეს გუნდებს ვხვდებოდით. იცით, ეს არ იყო მხოლოდ სპორტული შეჯიბრი... აი, დღეს ბევრს ვლაპარაკობთ ეროვნულ ცნობიერებაზე, მაგრამ მხოლოდ ვლაპარაკობთ. მაშინ კი, ეს სულისკვეთება ძვალსა და რბილში გვქონდა გამჯდარი. ამ სულისკვეთებით, ვიმარჯვებდით უმნიშვნელოვანეს ტურნირებში. ამას ერქვა პატრიოტიზმი და ეს ისეთი სტიმული იყო, მაშინ... მახსოვს ჩვენი რომელიმე სპორტული ნაკრები რომ გაიმარჯვებდა, ზეიმი იყო თბილისის ქუჩებში, შრომისნაყოფიერება კი ერთი ორად მატულობდა იმ დღეებში“.

№29. 2003 წ.

პირველი ლიგა, XVII ტური

კოლხეთი (ხ) — მცხეთა	0-1
ლოკომოტივი (სატრ) — ქობულეთი	1-2
ცხინვალი — ალაზანი	1-2
ჭაბ. ნაკრ. — ლაზიკა	1-2
ლოკომოტივი2 — გურია	5-0
თსუ — სპარტაკი	2-1
სამგურალი — მერცხალი	2-1
ივერია — დინამო2	1-2

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლაზიკა	17	11	5	1	40.17	38
მერცხალი	17	10	4	3	27.11	34
დინამო2 (თბ)	17	9	3	5	24-15	30
მცხეთა	17	8	5	4	25-14	29
ლოკომოტივი 2	17	7	6	4	22-11	27
სამგურალი	17	7	5	5	19-16	26
ცხინვალი	17	7	5	5	23-15	26
ქობულეთი	17	8	1	8	12-17	25
თსუ	17	7	4	6	13-15	25
ივერია	17	7	3	7	22-22	24
სპარტაკი	17	6	4	7	18-18	22
ჭაბუკ. ნაკრ.	17	6	3	8	23-20	21
გურია	17	4	4	9	12-29	16
კოლხეთი (ხ)	17	3	4	10	9-23	13
ლოკ. (სამტრ)	17	3	2	12	13-32	11
ალაზ.-მერანი	17	2	4	11	14-41	10

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

4

დინამო (თბილისი) — ვიტ ჯორჯია

მახარაძის კიდევ ერთი რეკორდი

გინესის რეკორდების წიგნის მუდმივმა ბინადარმა ჩვენებურმა სპორტსმენმა გოდერძი მახარაძემ, კვირას ეროვნულ სტადიონზე მოსული მაყურებელი ფეხბურთის ბურთის კენწვლის კიდევ ერთი რეკორდით განაცვიფრა. მან 4 წუთსა და 27 წამში, 820-ჯერ შეუჩერებლად აკენწლა ბურთი თავით, რაც მსოფლიოში საუკეთესო მიღწევაა. ეს გოდერძის მეცხრე მსოფლიო რეკორდია, სულ ცოტა ხანში მას გადაწყვეტილი აქვს პარიზში ეიფელის კოშკის კენწეროში ავიდეს ბურთის თავით კენწვლით.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სპორტული მოძრაობის უხუცესი წარმომადგენელი, საქართველოს პირველი სპორტის ოსტატი ფარიკაობაში, დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი

ოთარ დიდებულიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული სპორტის თვალსაჩინო მოამაგის და მოღვაწის, ბრწყინვალე პიროვნების

ოთარ დიდებულიძე

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

სოსლან ანდიევი — ხეობის ფასი კაცი...

ლეგენდარული ოსი მოჭიდავე სოსლან ანდიევი ტიტულოვანი პიროვნებაა:

— ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი;

— მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი და მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი;

— ევროპის სამგზის ჩემპიონი;

— საბჭოთა კავშირის 7-გზის ჩემპიონი;

— საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი:

— სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი;

— სპორტის დამსახურებული ოსტატი;

— ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ოქროს მედლის მფლობელი;

— ოლიმპიური კომიტეტის ოქროს მედლის ლაურეატი;

— რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი;

— რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიისა და სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი;

— საბჭოთა კავშირისა და რუსეთის მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი.

ერთი შეხედვით, თითქოსდა ოს ხალხს აღარ სჭირდებოდა მისთვის კიდევ ერთი სახალხო ტიტულის გამოძებნა.

მაგრამ ოსეთში საუკუნეების მანძილზე ალანებისგან შემორჩენილი ერთ კარგ ტრადიციას — საქვეყნოდ ცნობილ და საყვარელ პიროვნებაზე საუკუნეს მიღწეული სოფლის თავკაცები ამბობენ: „Комы аргъ лаг“ — ხეობის ფასი კაცი.

სოფლისა და ხეობის თავკაცთა ეს გულწრფელი გულისხმა ზეპირად გადაიცემა ხეობიდან ხეობამდე, სოფლიდან სოფლამდე...

ასე დაერქვა სოსლანს „ხეობის ფასი კაცის“ ფოლკლორული ტიტულიც.

... „ლელოს“ მკითხველებს მსურს მოგითხროთ სოსლან ანდიევზე.

სოსლანზე წერა ადვილიცაა და ძნელიც.

ძმები ანდიევები

ლევან თედიაშვილთან ერთად

სპორტულ პრესაში და ასობით წიგნებში, რომლებიც საბჭოთა მოჭიდავეებზე დაიბეჭდა, ბევრი რამ წერია ამ სწორუპოვარ ფალავანზე.

მაგრამ სოსლანზე, უნდა დაბეჭდო ყველაზე საინტერესო მისი ლეგენდარული ცხოვრებიდან. უნდა დაბეჭდო თუნდაც ერთი წინადადება, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა მის შესახებ.

წლეულს მე სამჯერ შევხვდი სოსლანს. გავაცანი ჩემი აზრი, რომ საქართველოს სპორტულ გაზეთში მსურდა მის შესახებ წერილი დამებეჭდა.

— „ლელოში“? — თბილად იკითხა სოსლანმა.

მე სიამოვნებით დავუდასტურე.

— თბილისში „ლელო“ საყვარელი გაზეთია, — მითხრა სოსლანმა და დასძინა, — კარგი იქნება, თუ ჩვენს სპორტულ გაზეთშიც დაბეჭდავთ სახელოვან ქართველ მოჭიდავეებზე.

მისი წინადადება გულთბილად მოვიწონე.

... სოსლან ანდიევი დაიბადა 1952 წლის 21 აპრილს, ქ. ორჯონიკიძეში.

სოსლანის მამა პეტრე ტანად ორ მეტრს აღემატებოდა და დიდი ღონის პატრონი იყო. ომამდელ და ომისშემდგომ ქ. ორჯონიკიძეში მხოლოდ ფრანგული ჭიდაობა იყო ცნობილი და პეტრეც ხშირად ერკინებოდა ცირკისა თუ ადგილობრივ მოჭიდავეებს.

სოსლანამდე პეტრეს უკვე ორი ბიჭი ჰყავდა. ორივენი გოლიათური აღნაგობისა იყვნენ და ჭიდაობას მისდევდნენ.

სოსლანიც გოლიათური აღნაგობისა დაიბადა. მეზობლები ხუმრობდნენ:

„ანდიევებს კიდევ ერთი მოჭიდავე შეეძინათ“.

სოსლან ანდიევის მოგონებიდან:

„ვსწავლობდი მეექვსე კლასში და ჩემი წონა 85 კგ-ს აღემატებოდა. მე მიტაცებდა ფეხბურთი და კალათბურთი. ჩემი უფროსი ძმები კი თავისუფალი ჭიდაობის სექციებში მეცადინეობდნენ ასლანბეკ ძგოევთან.

ოჯახში გადაწყვიტეს, რომ მეც მიმიყვანდნენ ჭიდაობის სექციაში. „ყველა ანდიევი მოჭიდავეა და შენც მოჭიდავე უნდა გახდე“.

ერთ მშვენიერ დღეს უფროსმა ძმამ გენადიმ მომკიდა ხელი და „დინამოს“ დარბაზში მიმიყვანა.

დარბაზის წინ გენამ მითხრა: „სოსლან, ჩვენი მწვრთნელი ყველაზე კარგი მწვრთნელია ოსეთში. ძალიან გთხოვ, რომ არ შეარცხვინო მამაჩვენის ხსოვნა და არც მწვრთნელი. ჩვენც შენთან ერთად ვიქნებით.

ასე სერიოზულად გენა არასოდეს არ მელაპარაკებოდა და ამიტომ ჩამრჩა გონებაში მისი სიტყვები.

შეიცვალა ჩემი ცხოვრების რეჟიმი. ერთ წელიწადში ტანად 12 სმ მოვიმატე, ხოლო წონა კი დავიკელი 10 კგ-ით.

— აი, ახლა მამაკაცს დაემსგავსე, — თბილად მითხრა მწვრთნელმა, რომელსაც ყველა, და ცხადია, ჩვენც „ბატიას“ ვეძახდით“.

იმ წლებში ორჯონიკიძეში ჭიდობის ნამდვილი ბუმი იყო. პატარა სოსლანისათვის ყოველი საწვრთნელი მეცადინეობა ზეიმი იყო და იგი საგანგებოდ ემზადებოდა.

... გაირბინა წლებმა და დაიწყო შეჯიბრებები, ჯერ ბავშვთა, შემდეგ კი ჭაბუკთა შორის.

უფროსი ძმები — გენადი და სერგეი რუსეთში ცნობილი ფალავნები გახდნენ. ხან ერთი, ხან კი მეორე ძმა რუსეთის ჩემპიონები ხდებიან „ანდიევების წონაში“.

... 1968 წელი. სოსლანი 16 წლისაა.

კიევი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. პირველი სანუკვარი „ოქრო“.

... 1969 წელი. ბოულდერი, აშშ. მსოფლიოს პირველობა ჭაბუკთა შორის. სოსლანი მსოფლიოს ჩემპიონი ხდება. ოცნებას ფრთები შეესხა... ოსეთი ოვაციებით ხვდება 17 წლის ფალავანს.

მწვრთნელმა ასლანბეკ ძგოევმა გულთბილად მიულოცა შეგირდს გამარჯვება და დინჯად უთხრა: „აბა სოსლან, ახლა დავიწყოთ ნამდვილი მუშაობა“.

... და კვლავ საწვრთნელი მეცადინეობები... კროსები... შტანგა... სპორტული თამაშები.

შედეგიც არ აყოვნებს.

... 1970 წელი. ხუსკვარნა, შვეცია, ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის. სოსლან ანდიევი კვლავ ჩემპიონია.

ლენინოგორსკი. საბჭოთა კავშირის პირველობა ახალგაზრდებს შორის.. სოსლანი აქაც პირველია.

... 1971 წელი. კრასნოიარსკი. საბჭოთა კავშირის პირველობა ახალგაზრდებს შორის. სოსლანი ისევ უძლიერესია.

საინტერესოა შუათანა ძმის სერგეის მოგონება 1971 წლის შესახებ.

„არასოდეს არ დამავიწყდება 1971 წლის რუსეთის ჩემეპიონატი. საპატიო კვარცხლბეკზე პირველ, მეორე და მესამე ადგილებს ვიკავებთ ანდიევები — გენადი, სერგეი და სოსლანი, უფროსობის მიხედვით“.

... 1972 წელი.

სოსლანი იგებს ევროპისა და სსრკ ჩემპიონატებს ახალგაზრდებს შორის.

ძმები გენადი და სერგეი აქტიურობენ თავიანთ წონაში. მაგრამ უფროს ძმებს ბედმა არ გაუმართლა. მძიმე წონაში იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში, ევროპაში და მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა ლეგენდარულ ალ. მედვედს.

უფროსი ძმები რუსეთის „ოქროთი“ კმაყოფილდებიან და... იმედის თვალით შესცქერიან სოსლანს.

... 1973 წელი. სოსლანი 21 წლისაა.

აშშ, ტოლიდო. მსოფლიო თასის მფლობელთა ტურნირი. საინტერესოა ბოლო სამი წონითი კატეგორიის გამარჯვებულთა გვარები:

... 90 კგ. ლ. თედიაშვილი

100 კგ. ი. იარიგინი

100 კგ-ზე ზევით ს. ანდიევი

სულ მალე კი თეირანი, ირანი. მსოფლიოს პირველობა მოზარდთა შორის და კვლავ:

... ლ. თედიაშვილი... ი. იარიგინი... ს. ანდიევი.

საბჭოთა კავშირში „ვარსკვლავების წვიმაა“.

ეს იყო სოსლან ანდიევის სერიოზული განაცხადი თავისუფალ ჭიდაობაში.

... დაიწყო სოსლან ანდიევის ხანა ზემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის.

1974-75 წლები. სოსლანის ყულაბაში მსოფლიოს ოქროს და ვერცხლის მედლები, ევროპის ორი ოქრო, რომელსაც სსრკ ჩემპიონატების ორი ოქრო ემატება.

... და აი, 1976 წელი. მონრეალი, კანადა.

ძმები ანდიევების სანუკვარი ოლიმპიური თამაშები.

„ოქროს ბიჭები“ კვლავ პირველობენ თავიანთ წონებში — ლ. თედიაშვილი, ი. იარიგინი, ს. ანდიევი.

სოსლანისათვის ეს იყო სიცოცხლის ფასი შეჯიბრება და აი, რატომ. უკანდასახევი გზა მას არ ჰქონდა.

პირველი. ეს იყო ძმები ანდიევების სანუკვარი ოლიმპი. ამიტომაც სოსლანი იბრძოდა სამმაგი ენერგიით.

მეორე. ამ თამაშებამდე ოს ხალხს არ ჰყავდა ოლიმპიური ჩემპიონი. და ეს საპატიო მისია უნდა შეესრულებინა სოსლანს.

მესამე. სოსლანს უნდა გაეგრძელებინა ა. მედვედის ოლიმპიური გამარჯვებების ტრიუმფალური სვლა: ... ტოკიო.... მეხიკო.... მიუნხენი. ეს საჭირო იყო.

და სოსლანი იბრძოდა მხოლოდ ოლიმპიური ოქროსათვის:

— პირველი შეხვედრა ამერიკელ დ. ჯეკსონთან. ტუში (1 წუთი და 16 წამი);

— მეორე შეხვედრა კანადელ ხ. გერისომთან. ტუში (44 წამი).

— მესამე შეხვედრა. დისკვალიფიკაცია მისცეს უნგრელ ი. ბალას (5 წუთი და 7 წამი);

— მეოთხე შეხვედრა. პასიური ჭიდაობისათვის მოიხსნა გერმანელი რ. გერკე (8 წუთი და 40 წამი);

— მეხუთე შეხვედრა. ბულგარელ ნ. დინევთან (8:3);

— მეექვსე შეხვერა. ძველი მეტოქე რუმინელი ლ. შიმონი (11:5).

1976 წელი ს. ანდიევის წელი იყო. ოლიმპიურ ოქროს მან დაუმატა მსოფლიო თასის ოქრო, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის „ოქრო“. გახდა სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი.

1977-80 წლები. სოსლან ანდიევის ყულაბა კვლავ „ივსება“ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროს მედლებით.

მაგრამ მთავარი, დაუვიწყარი იყო 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადა.

ოლიმპიადის ყველა შეხვედრას სოსლანი მთელი არსებით ატარებს.

... მონღოლი ო. ბახტა და სენეგალელი მ. საკო. სუფთა გამარჯვებები. პოლონელი ა. სანდურსკი და გერმანელი რ. გერკე. გამარჯვებები ქულებით. და აი, სანუკვარი ფინალი. უნგრელ ი. ბალასთან სუფთა გამარჯვება და სოსლან ანდიევი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია.

1984 წლის ოლიმპიურ თამაშებს აშშ საბჭოთა პოლიტიკოსებმა ბოიკოტი გამოუცხადეს და საბჭოთა გუნდი არ იღებდა მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში.

ახლა ძნელია, შეუძლებელია იმკითხაო:

როგორ წარიმართებოდა ს. ანდიევის ბედი საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა რომ მიეღო. გააგრძელებდა იგი წვრთნას და ბრძოლას მესამე ოლიმპიური თამაშებისათვის თუ არა? გაგრძელდებოდა მისი „დუელი“ ხ. ხასიმიკოვთან? მ. მერმანიშვილთან?

მაგრამ პროგნოზები სპორტში მიუღებელია და ჩვენც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონობით ვამთავრებთ სოსლანზე თხრობას.

აქტიური სპორტის შემდეგ ლეგენდარულმა ი. იარიგინმა ძველი მეგობარი სოსლან ანდიევი საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელთა საბჭოში მიიწვია და ნახევარმძიმე და მძიმე წონის ათლეტებს მიამაგრეს.

მუშაობა საინტერესო იყო. მძიმე წონებში გამოჩნდნენ ახალი „ვარსკვლავები“: ლ. ხაბელოვი, დ. გობეჯიშვილი, ა. ხადარცევი... გამოჩნდნენ საინტერესო გვარები ჭაბუკთა შორის.

მაგრამ სულ მალე სოსლან ანდიევის ცხოვრება ძირეულად შეიცვლება.

ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ 1988 წლის მიწურულს სოსლან ანდიევი ჩრდილოეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა.

სოსლან ანდიევის საქმიანობაზე ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნისას, წერილის ბოლოს მოგითხრობთ. ახლა კი ისევ რამდენიმე საინტერესო მოგონება მინდა გაგაცნოთ.

„ეს ძალიან პატიოსანი და წესიერი კაცია. ნამუსიანი. ბიჭები მას ძალიან ენდობოდნენ, ამიტომაც ირჩევდნენ გუნდის კაპიტნად. სოსლანს ბევრი მედალი აქვს, მაგრამ ჩვენ გვახსოვს მისი პირველი ჯილდო — სპორტული გზის დასაწყისში საბჭოთა კავშირის თასზე მას მიანიჭეს „კეთილშობილების პრიზი“ (ი. იარიგინი, გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“, 27.04. 1986 წ..)

„თავისუფალი სტილის მოჭიდავის ეფექტური გამარჯვებები ხშირად აღტაცებას იწვევდნენ მოწინააღმდეგეთა შორის. იგი მძიმე წონის მოჭიდავეა, მაგრამ ხალიჩაზე მოქმედებდა მოხდენილად, ელეგანტურად“ (ტ. გაჩოს გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“, 27.04. 1986 წ.).

„მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ლაპარაკია ვლადიკავკაზის მუზეუმზე — ნ.ზ.) ინახება სიძველისაგან გაყვითლებული ფოტოსურათი, რომელზედაც ოსეთის მოჭიდავეთა გუნდია აღბეჭდილი. პეტრე ანდიევი (სოსლანის მამა-ნ.ზ.) გამოირჩევა ყველასაგან გიგანტური და მძლავრი აღნაგობით. უცქერი ამ სურათს, და მჯერა, რომ ოსები ჭეშმარიტად არიან ზღაპრული ნართების შთამომავლები, რომლებმაც სახელი გაითქვეს ღონით და გოლიათური სიმამაცით. ალბათ, პეტრე ახმეტის ძე ამაში არ ეჭვიანობდა თავის უმცროს ბიჭს რომ დაარქვა ლეგენდარული სოსლანის სახელი“ (ჟურნალი „სტუდენტური მერიდიანები“, 1981 წ. №5).

“... კი, სოსლანი რჩება ჩემს მრისხანე მოწინააღმდეგედ და ანგარიში 2:1 მის სასარგებლოდაა.

— ვინ არის თქვენი იდეალი ჭიდაობაში?

— ანდიევი. და არა მარტო როგორც მოჭიდავე. სოსლანი ჭკვიანი და გულითადი ადამიანია, ნამდვილი „ტრუდიაგაა“ (ს.ხასიმიკოვი, გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“, 23.01. 1883 წ.).

სოსლან ანდიევზე, როგორც მოჭიდავეზე, წერა გაცილებით ადვილი მეჩვენა, ვინემ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეზე.

14 წელია იგი ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის სპორტის თავკაცია. ეს დროის დიდი მონაკვეთია და ძალიან ძნელია საგაზეთო წერილში მისი ყოველდღიური საქმიანობის აღწერა.

რა ძირითადი მიმართულება დავინახე მის დიდ და საშვილიშვილო საქმიანობაში?

— ალბათ სპორტის მასობრიობა.

— საერთაშორისო სარბიელზე ოსეთის სპორტის აღიარება.

— და კიდევ ერთი პრაქტიკული ნაბიჯი. სპორტი უნდა დამკვიდრდეს ოსეთის ყველა სოფელში, ყველა ხეობაში.

რა გაკეთდა გასულ 2002 წელს?

სტატისტიკური მონაცემების გარეშე მიჭირს პასუხის გაცემა:

— რუსეთის სხვადასხვა რანგის ჩემპიონატების პრიზიორი გახდა 181 სპორტსმენი. მათგან 82-მა დაიმსახურა „ოქრო“.

— ევროპის ჩემპიონატების პრიზიორებია 76 სპორტსმენი, მათგან 40-მა მოიპოვა „ოქრო“;

— მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი გახდა 28 სპორტსმენი. მათგან 14 „ოქროს“ მედალოსანია.

გასულ წელს რესპუბლიკაში მომზადდა:

— 144 სპორტის ოსტატის კანდიდატი;

— 92 სპორტის ოსტატი;

— 31 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი;

— 11 სპორტსმენი გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჩრდილოეთ ოსეთში კვლავინდებურად პოპულარულია თავისუფალი ჭიდაობა, შტანგა, კრივი...

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ოსეთში ძალიან დაწინაურდა არმსპორტი და იგი მსოფლიოს თვალსაჩინო ცენტრად იქცა. პირველი წარმატებები მოიპოვეს ახალ სახეობებში, როგორიცაა ჯიუ-ჯიცუ, უშუ, კიკბოქსინგი, ტაეკვონდო...

... ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანია“ მთავარი მწვრთნელის რეზო ძოძუაშვილის თაკავცობით გულშემატკივრებს ჰპირდება „ლამაზ და სტაბილურ“ ფეხბურთს. სპორტის ბევრ სახეობაში ოსეთში ელიან კარგ მაჩვენებლებს.

მაგრამ მთავარი მაჩვენებელი წელს ათენის გზაა.

რესპუბლიკის 70-ზე მეტი სპორტსმენი რუსეთის სხვადასხვა რანგის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში გადიან წვრთნას.

ყველა ისინი ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის მთავრობისაგან იღებენ სპეციალურ სტიპენდიებს.

ოსეთი ელოდება ახალ ოლიმპიურ ჩემპიონებს. ოლიმპიური ჩემპიონები კი ოსეთში ეროვნულ საგანძურს შეადგენენ.

2001 წლის 20 ოქტომბერს პრეზიდენტმა ალექსანდრე ძასოხოვმა გამოსცა ბრძანება „ვლადიკავკაზში ოლიმპიური ჩემპიონების ბრინჯაოს ფიგურების დადგმის შესახებ“.

სოსლან ანდიევის ბრინჯაოს ფიგურამ უკვე დაამშვენა მოედანი ვლადიკავკაზის სპორტული მანეჟის წინ.

ეს დასაწყისია მხოლოდ, აქ დაიგეგმება აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონების ა. ფაძაევის, მ. ხადარცევის, ვ. ბოგიევის, დ. მუსულბესის, ტ. ტაიმაზოვისა და ლ. ხაბელოვის ბრინჯაოს ფიგურები.

დიახ, დიახ, წინ ათენია. ახალ ოლიმპიურ ჩემპიონებს ელის სოსლან ანდიევის სამშობლო.

ნოდარ ზალიევი,
„ლელოს“ საკ. კორ., ორჯონიკიძე

P.S. ავტორისეული სტილი უცვლელია, ტექსტი მიღებულია ქართულ ენაზე.

ახალი თაობის ფეხბურთელები

„სიმორცხვით ბევრი რამ დავკარგე ცხოვრებაში“

ლევან შავგულიძე — დაიბადა 1980 წლის 23 ნოემბერს, ზესტაფონში. ფეხბურთის თამაში, ოდნავ მოგვიანებით, 13 წლისამ დაიწყო. პირველი გუნდი ზესტაფონის „მარგვეთი“ იყო. რომელსაც ზაურ ჩუბინიძე წვრთნიდა. 1998 წელს „მარგვეთი“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა და ლევანი ფოთის „კოლხეთში“ გადავიდა. 2000 წელს თბილისის „ლოკომოტივშია“, 2001 წლიდან თბილისის „დინამოში“. ახლა ბოლნისის „სიონის“ ღირსებას იცავს. 1999 წელს შედგა მისი დებიუტი ეროვნულ ნაკრებში. მოპოვებული აქვს ბრინჯაოს („კოლხეთი“), და ვერცხლის („დინამო“) მედლები. ჰყავს მეუღლე.

● ***ფეხბურთის თამაში არც ისე ადრე დაიწყია...***

— მართალია, 13 წელი, ალბათ, გვიანია. თუმცა დროს „დავეწიე“ — 16 წლისა ვიყავი, ზესტაფონის „მარგვეთში“ რომ ჩავირიცხე. შემდეგ კი გამუდმებით ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოვდივარ.

● ***რატომ მიატოვე ზესტაფონი და „მარგვეთი“?***

— როდესაც „მარგვეთი“ ლიგიდან გავარდა, მომეცა შანსი მეთამაშა ფოთის „კოლხეთში“. მეც დავთანხმდი და სამწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

● ***2000 წელს კი გაგანათხოვრეს „ლოკომოტივში“...***

— დიახ. შემდეგ კვლავ დავბრუნდი ფოთში. კონტრაქტი დამთავრდა თუ არა, „დინამოში“ ჩავირიცხე.

● ***რამდენ წლიანი კონტრაქტი გაკავშირებს „დინამოსთან“?***

— ორწლიანი. აქედან წელიწადნახევარი უკვე მიილია. ნახევარი წელია ბოლნისის „სიონში“ ვთამაშობ.

● ***რამ განაპირობა საქართველოს ათგზის ჩემპიონის გუნდიდან წასვლა?***

— ჩემზე არ იყო დამოკიდებული. ეს იძულებით მოხდა.

● ***რას გულისხმობ?***

— იმას, რომ თუ „დინამოში“ დავრჩებოდი, სათადარიგოთა სკამი უნდა მეხეხა. ჩემი წლოვანების ფეხბურთელისათვის კი ეს სულაც არ არის სასიამოვნო, ამიტომ დავთანხმდი „სიონის“ წინადადებას.

● ***მიზნებაც ამას ჰქვია. ახალ გუნდში ბომბარდირი გახდი, თან 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაშიც აღმოჩნდი...***

თეთრ მაისურში ლევან შავგულიძე

— ძალიან მახარებს ეს ფაქტი. უბრალოდ, რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ.

● ***როგორ ფიქრობ, „დინამო“ შენს გაშვებას ნანობს?***

— ნამდვილად არ გამიგია არაფერი. არის გამორიცხული, რომ შუშაკს ჩემი ამბავი გაგებული ჰქონდეს. ან, შეიძლება ისიც არ იცის, რამდენი გოლი გავიტანე ან საერთოდ ვარ თუ არა ბომბარდირთა სიაში. ის ხომ უცხოელი სპეციალისტია და ქართულ მასმედიას ვერ ეცნობა. იცის, რომ „სიონში“ ვთამაშობ, დანარჩენი არაფერი გამიგია.

● ***კონტრაქტის დამთავრების შემდეგ რას აპირებ, არის რაიმე შემოთავაზებები სხვა გუნდებიდან?***

— ამ ზამთარში იყო რამდენიმე, მაგრამ „დინამომ“ არ გამიშვა. მაისის შემდეგ თავისუფალი აგენტი ვიქნები და სადაც მინდა იქ წავალ.

● ***თავად „დინამო“ თუ მოინდომებს შენს დაბრუნებას, მერე?***

— საქართველოში, ყველა ფეხბურთელის ოცნების გუნდი „დინამოა“. თუ ასეთი რამ მოხდა, დავთანხმდები თუ ძირითადში მათამაშებენ.

● ***როგორი ურთიერთობა გაქვს „სიონის“ მწვრთნელთან?***

— ჩვენ არა მარტო სამსახურეობრივი ურთიერთობა გვაქვს, არამედ მეგობრულიც. შემიძლია ვთქვა, რომ თემურ მახარაძე არაჩვეულებრივი ადამიანია.

● ***თავიდან ხომ არ გაგიჭირდა, ალბათ, იქ თითქმის არავის იცნობდი?***

— ნამდვილად არ გამჭირვებია. ვიცნობდი რამდენიმე მოთამაშეს, შემდეგ კი ფოთიდან ჩემი ძველი გუნდელები შემოგვიერთდნენ. ახლა ნამდვილად კარგად ვგრძნობ თავს.

● ***მიზნებზე რას იტყვი?***

— გვინდა, რომ თასის ფინალში გავიდეთ. კიდევ ერთი, ჩვენს მინდორზე თამაში ყველას უჭირს და ასე გაგრძელებას ვაპირებთ.

● ***თუ შეგიძლია მითხრა, ვისთან მეგობრობ გუნდში?***

— ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, კონკრეტული ადამიანის დასახელება გამიჭირდება. აი, გაბისკირიასთან თამაში ძალიან მსიამოვნებს. მას ჩემს უფროს მეგობრად ვთვლი.

● ***შეგიძლია დამიხასიათო შენი თავი?***

— ძალიან მორცხვი ვარ. ჩემი მორცხვობით ბევრი რამ დავკარგე ცხოვრებაშიც და ფეხბურთშიც.

● ***მაინც?***

— დაკონკრეტებას ნუ მთხოვ, ეს მხოლოდ მე ვიცი.

● ***ავტოგრაფის გაცემას ხომ არ გაურბიხარ...***

— სიმართლე გითხრა, ნამდვილად არ მსიამოვნებს ავტოგრაფებზე როცა მოდიან.

● ***რატომ?***

— არა, აქ არ მსიამოვნებს, თორემ უცხოეთში როცა ვართ, კი...

● ***რა, უცხოეთში უფრო გცნობენ?***

— რა თქმა უნდა. არა, სხვანაირად არ გამიგო. აქაც მცნობენ და უცხოეთშიც. ოღონდ ეგაა, საქართველოში კარგად არ ჩანს ჩვენი ფეხბურთი....

● ***გულისხმობ უყურადღებობას?***

— დიახ, მაგის თქმა მინდოდა. აქ მოთამაშე ბიჭებს ისე კარგად არ იცნობენ. გამიგია, ადრე თურმე ფეხბურთელები საზოგადოების კერპები ყოფილან.

● ***თავისუფალ დროს როგორ ატარებ?***

— გართობაზე რა მოგახსენო... შინ მოვდივარ ჩემს ფეხმძიმე მეუღლესთან. ხან ტელევიზორს ვუცქერ, ხან ვფიქრობ.

● ***ფიქრებშიც ფეხბურთში ხარ?***

— ცხადია. თან მომავალზეც ვფიქრობ.

● ***მომავალთან დაკავშირებით, რა დასკვნამდე მიდიხარ?***

— ჯერჯერობით, არაფერზე (იცინის).

● ***მართალია, ჯერ ადრეა, მაგრამ ხომ მოვა ის დროც, რომ ფეხბურთის თამაშს თავს დაანებებ, მერე?***

— ჯერ ნამდვილად ნაადრევია, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრა, რომ ფეხბურთს არასოდეს ვუღალატებ.

● ***მწვრთნელი გახდები?***

— რა ვიცი, შეიძლება მწვრთნელიც გამოვიდე.

● ***ტელევიზიით რას უცქერ?***

— ბევრ გადაცემებს ვუყურებ, ძირითადად ფეხბურთის მატჩებს. ხანდახან სერიალსაც შევავლებ ხოლმე თვალს. ზოგჯერ ესეც კარგია.

● ***შენ ერთადერთი ხარ ჩემი რესპოდენტებიდან, ვინც სერიალს უყურებს...***

— მერე, რა არის ამაში ცუდი?

● ***არაფერი, რა თქმა უნდა იქნებ ზოგჯერ პოლიტიკითაც „ტკბები“.***

— ახლა მართლა მიიქცია პოლიტიკამ ჩემი ყურადღება. ძალიან მაშფოთებს ომი ერაყში...

● ***შენი მეტსახელი ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ცნობილია. იქნებ გაგვიმხილო, რატომ დაგარქვეს „მატლი“?***

— მაშინ „მარგვეთში“ ვთამაშობდი. თან ყველაზე პატარა ვიყავი, ჩემმა გუნდელმა ერთხელ თქვა: ნახე რა მატლივით დარბისო. მერე კი ყველა ამ მეტსახელით მომმართავდა. მას შემდეგ შემომრჩა.

● ***ადამიანს, რომელიც რაღაცის გამო კრიტიკას იმსახურებს, სათქმელს პირდაპირ ეუბნები თუ მინიშნებით?***

— თუ ის ადამიანი ახლობელია და ვფიქრობ, რომ ჩემი ნათქვამი სარგებლობას მოუტანს, ცხადია, პირდაპირ ვეუბნები. საერთოდ, ზურგს უკან ლაპარაკი არ მომწონს. რა მნიშვნელობა აქვს მე ვარ თუ სხვა.

● ***შეყვარებულობის პერიოდში საჩუქრებს თუ უძღვნიდი შენს რჩეულს?***

— დიახ, თანაც ძალიან ხშირად. ასორტიმენტი ფართოა და ჩამოთვლა არ ღირს.

● ***როგორი შეყვარებული იყავი, არ მითხრა, მორცხვით...***

— დიახ. მორცხვი ვიყავი, თანაც ძალიან.

● ***რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება?***

— ფეხბრთში ბევრს მივაღწიო და მშვიდობა სუფევდეს ყველგან.

● ***ცხოვრებაში რა გაძლევს სტიმულს?***

— ჩემი მომავალი შვილი, რომელსაც დიდი ხანია ველოდით.

● ***ალბათ სახელი უკვე მოფიქრებული გაქვს...***

— ეგ საქმე მეუღლეს მივანდე, მან მოიფიქროს...

ესაუბრა
ლელა ჯანკოტაძე

რუბრიკას
უძღვება
ვეტერანი
მსაჯი
ელდარ
ჩიფჩიური

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის 80 წლისთავისათვის

საუკუნის საუკეთესო...

ანატოლი მილჩენკოს 65 წელი უსრულდება

ფეხბურთში რიგით საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებშიც კი, როგორც წესი, სტადიონის თავზე სამი ალამი ფრიალებს. ორი მათგანი მოასპარეზე ქვეყნების გუნდებისაა, მესამე კი, ალბათ ბევრმა არ იცის, სწორედ იმ ქვეყნისაა, საიდანაც მსაჯია. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება მსაჯის დიდი როლი ამ საყოველთაო სახალხო თამაშში.

მართლაც, ხომ წარმოუდგენელია საფეხბურთო მატჩი, ფეხბურთელებისაგან განსხვავებული ფორმიან-სასტვენიანი პერსონის გარეშე?

არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოედანზე ამ ოცდამესამე პიროვნებას. როგორც ბევრ ქვეყნებში, ჩვენშიც მსაჯი ტყავის ბურთის გამოჩენასთან ერთად მოვიდა. წლეულს კი თავის მსაჯთა კოლეგიის 80 წლისთავს ზეიმობს ქართული ფეხბურთი.

ანატოლი მილჩენკო ქართველ მსაჯთა კოლეგიის ის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელმაც ჩვენი სახელი საერთაშორისო არენაზე ღირსეულად გაიტანა.

... ა. მილჩენკო 1938 წლის 26 მარტს დაიბადა ქ. ბორჯომში. 1961-1964 წლებში თამაშობდა სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში. იყო გუნდის კაპიტანი. პარალელურად სჯიდა მატჩებს აფხაზეთის პირველობაზე. 1964 წელს მძიმე ტრავმის შემდეგ თავისი ცხოვრება სამუდამოდ, მეტად რთულ და პასუხსაგებ, მსაჯის პროფესიას დაუკავშირა.

... 1964 წელს საგაზაფხულო შეკრების ამხანაგურ მატჩზე, რომელიც თებერვლის თვეში ქ. სოხუმში ჩატარდა, მსაჯი სოჭიდან არ გამოცხადდა. ამ მატჩის მსაჯობა ა. მილჩენკოს დაევალა. შეხვედრა 1-1 დამთავრდა. მატჩის შემდეგ, მაშინდელი ცსკ-ას მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ვსევოლოდ ბობროვმა ურჩია მსაჯობის კარიერა გაეგრძელებინა. თბილისში ყოფნის დროს კი ვსევოლოდ ბობროვმა ა. მილჩენკოს წარმატებული მსაჯობის შესახებ რესპუბლიკის სპორტ-კომიტეტის თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს უამბო. თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ დაავალა ფეხბურთის მაშინდელი სამმართველოს უფროსს დ. ცომაიას, გაესინჯათ და ყურადღება მიექციათ. საგამოცდო მატჩს ცნობილი არბიტრები: ნ. ჩხატარაშვილი, ვ. შავდია და ო. ჟორდანია ესწრებოდნენ, რომლებმაც მის მსაჯობას მაღალი შეფასება მისცეს. შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია და 1964 წელსვე რესპუბლიკური კატეგორია მიანიჭეს. მაშინ ასეთი წოდება არც თუ უბრალოდ მოიპოვებოდა. შემდეგ ა. მილჩენკო საკავშირო მსაჯთა შეკრებებზე რამდენჯერმე საკუთარი სახსრებით მიემგზავრება, რადგან რესპუბლიკებზე საკავშირო მსაჯთა კოლეგიას დაწესებული ჰქონდა ლიმიტები. იქ კვალიფიკაციას იმაღლებდა ისეთ დიდ სპეციალისტებთან, როგორებიც იყვნენ მსაჯთა საკავშირო კოლეგიის წევრები პ. კაზაკოვი და ნ. ალიმოვი. ბოლოს კი თვით მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ, საქვეყნოდ ცნობილმა არბიტრმა ნ.ლატიშევმა მოისურვა ა. მილჩენკოს შემოწმება. სწორედ მან დიდ ფეხბურთში სამუდამოდ დაულოცა გზა, 1966 წელსვე შეიყვანეს საკავშირო მატჩების პირველი ლიგის მომსახურე მსაჯთა სიაში. წლის ბოლოს ახალგაზრდა მსაჯს ქ. ტაშკენტში მიანდეს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი, მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრის მსაჯობა. მომდევნო, 1967 წელს უმაღლესი ლიგის მატჩების მომსახურება ეკისრება. ამავე წელს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია საკავშირო კატეგორიის მსაჯის საპატიო წოდებას ანიჭებს. შემდგომში კი ა. მილჩენკოსთვის არაერთი პრინციპული და ძნელადსამსაჯო მატჩების გაძღოლა დაუვალებიათ.

1971 წელი. საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი, ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვის „სპარტაკი“ და როსტოვის „სკა“. მსაჯი ა. მილჩენკო. მატჩი ორი დღე მიმდინარეობდა. პირველ დღეს შეხვედრა 2-2 დამთავრდა. მეორე დღეს კი ეს მეტად ძნელი შეხვედრა „სპარტაკმა“ 1-0 მოიგო.

1972 წელს, როგორც გვერდითი მსაჯი, ინგლისში ახლდა საფეხბურთო სამყაროში კარგად ცნობილ მსოფლიო ჩემპიონატზე ნამსაჯებ ტ. ბახრამოვს. მაშინ უეფას თასზე ფინალურ მატჩში, ვულვერჰემპტონში, ადგილობრივი გუნდი „ტოტენჰემს“ ხვდებოდა. მატჩი სტუმრების გამარჯვებით (2-1) დასრულდა. 1974 წელს, ბერნში, ფინეთისა და ინგლისის ნაკრებთა შორის უეფას იუნიორთა თასის ფინალურ მატჩს მსაჯობდა. ამის შემდეგ იგი არაერთ თამაშს სჯიდა, დავასახელებთ თუნდაც ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებას მიუნხენში; 1979 წლის მსოფლიო პირველობის მატჩებს ახალგაზრდულ გუნდებს შორის იაპონიაში: ალსანიშნავია, რომ ამ გათამაშებაში მონაწილეობდა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი დიეგო მარადონა. 1980 წელს მოსკოვსა და მინსკში ოლიმპიური თამაშების მატჩებზე იყო მიწვეული. დასახელებული იყო ოლიმპიური თამაშების ფინალური მატჩის სარეზერვო მსაჯად.

1979 წელს ანატოლი მილჩენკოს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება ოფიციალურად ენიჭება. სამსაჯო კარიერის (1964-1985) წლებში, როგორც მთავარმა მსაჯმა, მოედანზე იმსაჯა — საკავშირო ჩემპიონატებში და თასის გათამაშებებში, ევროპის ჩემპიონატებში და თასების გათამაშებაში მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე. სულ 376 მატჩი აქვს ჩატარებული. ა. მილჩენკოს შემდეგ ყველაზე მეტი — 374 მაშინ ნ. ლატიშევს ჰქონდა ნამსაჯევი. საუკეთესო მსაჯად 14-ჯერ აღიარეს და 10 საუკეთესო მსაჯის სიაში დასახელდა. უმაღლესი ლიგის 80 და 100 თამაშზე მეტი მომსახურებისათვის მიღებული აქვს, შესაბამისად 1 ვერცხლის და ოქროს ორი მედალი. როგორც მსაჯს, ნ. ლატიშევისა და ტ. ბახრამოვის შემდეგ, ბედნიერება ხვდა ემსაჯა ოფიციალური მატჩი „უემბლის“ სტადიონზე. ერთმანეთის პირისპირ ინგლისისა და თურქეთის ეროვნული ნაკრებები წარსდგნენ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეს მატჩი ინგლისელი ფეხბურთელების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა — 5-0.

ა. მილჩენკოს სასტვენის ხმაზე მოედანზე გამოსულან წარსულში ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ — მ. მესხი, ს. მეტრეველი, ლ. იაშინი, ე. სტრელცოვი, დ. მარადონა, ფ. ბექენბაუერი, ვანბესტი, გულიტი, კრუიფი, კიგანი, მიულერი და სხვ. განსაკუთრებული აღიარება ხვდა წილად, როცა იგი დაასახელეს საქართველოს „საუკუნის“ საუკეთესო არბიტრად. წლების განმავლობაში აფხაზეთში, ქ. სოხუმში, მოღვაწეობდა. დიდხანს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდა და სათავეში ედგა ადგილობრივ ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიას. მისი უშუალო მეცადინეობით იქ არაერთი ცნობილი მსაჯი აღიზარდა, რომლებმაც შემდგომ თავი გამოიჩინეს სხვადასხვა რანგის მატჩებზე. ესენი არიან: ა. დურსუნიში, გ. გაბესკირია, ბ. ჩერნიახოვსკი, ზ. კოღუაშვილი და სხვა. ამჟამად მისივე აღზრდილები, უკვე აღიარებული მსაჯები ი. სამხარაძე და გ. ცირდავა წლევანდლიდან გავლენ საერთაშორისო ასპარეზზე. შვილი, ზურაბ მილჩენკოც ფეხბურთის მსაჯი იყო, ერთხანს ისიც მამის კვალს გაჰყვა... 26 მარტს საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის თავკაცს ანატოლი მილჩენკოს დაბადებიდან 65 წელი უსრულდება...

მილოცვა

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს XX საუკუნის საუკეთესო მსაჯს საქართველოში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილს ანატოლი მილჩენკოს.

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა, II ეტაპი, II ტური

თბილისი. 23 მარტი. ეროვნული სტადიონი. 500 მაყურებელი.

დინამო (თბ) – ვიტ ჯორჯია 3-1

დინამო: გვარამაძე, კარლოსი, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე, კვირკველია, დარასელია (გ. მიქაძე 83), ანჩაბაძე, ბობოხიძე (ვაშაკიძე 67), ალექსიძე (ი. სამხარაძე 38).

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, კვახაძე (მარცვალაძე 78), თ. კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, გველესიანი, დილმელაშვილი (ლ. მერებაშვილი 88), ლ. ნოზაძე, დათუნაიშვილი (დ. დოლიძე 58), ადამია, გოჩაშვილი, მელქაძე.

გოლები: 1-0 დარასელია (4), 1-1 მელქაძე (55), 2-1 დარასელია (59), 3-1 კვირკველია (90+3).

გააფრთხილეს: შაშიაშვილი (32), დილმელაშვილი (38)

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

დერბი მინდორზე გაგრძელდა...

თბილისურმა დერბიმ სადისციპლინო კომიტეტის კაბინეტიდან (იხ. „ლელო“ №20) მინდორზე გადაინაცვლა. რამდენიმე დღეში „დინამო“ და „ვიტჯორჯია“ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ეროვნულ სტადიონზე და ორივეჯერ „დინამომ“ იმარჯვა. ჯერ გახმაურებულ სათასო მატჩში, მერე კი გუშინწინ, ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეორე ტურში.

პირველობის შეხვედრას, თვალსასეირო გამომდგარიყო, უამინდობამ შეუშალა ხელი, თუმცა ტურის მთავარ მატჩს დაძაბულობა მაინც ეტყობოდა და მცირერიცხოვან მაყურებელს სიცივის მიუხედავად სტადიონზე რომ მოვიდა, ნამდვილად არ უნანია.

ფაქტობრივად, მატჩი დარასელიას ბენეფისად იქცა. დასაწყისი „დინამოსი“ იყო. მასპინძლებმა აქტიურად შეუტიეს სტუმრებს, ერთ-ერთ იერიშს კუთხური მოჰყვა. კუთხურის ალმიდან მოჭრილი დარტყმით დარასელიამ ბურთი მეკარის ბაქანში ჩაახვია, ვიტელთა მეკარე ჭურაძე მოუმზადებელი და ერთგვარად, დაბნეული შეხვდა ხიფათს, კარში მიმავალი ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ პირიქით კი გამოუვიდა: მოკლედ, ერთი გოლით „დინამო“ დაწინაურდა. სწრაფმა გოლმა მატჩის მსვლელობა ბევრად არ შეცვალა. მძიმე გრუნტის გამო წუნიც საკმაო იყო. ხიფათიც ნაკლებად იქმნებოდა, თუმცა პირველ ნახევარში ორჯერ ახმაურდა გულშემატკივარი. ჯერ ალექსიძეს დარტყმული სულ მცირედით ასცდა ვიტელთა კარს,. მერე გველესიანმა უპასუხა „დინამოს“ სახიფათო შეტევით, მაგრამ მასპინძლები ძელმა იხსნა.

მეორე ტაიმი გაცილებით შინაარსიანი და საინტერესო იყო. ვეტერინარებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ და ისინიც დინამოელთა საჯარიმოს გაუშინაურდნენ, განსაკუთრებით ეს ტაიმის ბოლოს იგრძნობოდა, როდესაც სტუმრები წინ გაჭრილი მასპინძლების დაწევას და ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ. რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი ვიტელთაგან საუკეთესოს, მელქაძეს ჰქონდა. ლევანმა ჩინებული გოლიც გაიტანა, ბურთი ერთხელ ხარიხასაც გაარტყა, მაგრამ ყველაფერ ამის მიუხედავად „დინამომ“ ისევ გაიმარჯვა. კონტრშეტევებში ანჩაბაძე და დარასელია აქტიურობდნენ, მათ მიერ ჩამოწოდებული კუთხურები, თითქმის ყველა, ჭურაძის კართან ხიფათს ქმნიდა. მეორე გოლიც ისევე გავიდა, როგორც პირველი. კუთხური ანჩაბაძემ ჩამოაწოდა. ვეტერინართა მეკარემ და მცველებმა ბურთი საჯარიმოს გარეთ უკუაგდეს, მაგრამ პირდაპირ დარასელიას დაასვეს ფეხზე, რომელმაც ეფექტური დარტყმით, იგი მეტოქის კარში შეაგდო. „დინამო“ ისევ დაწინაურდა. ამ გოლს, თითქმის, ცალკარში თამაში მოჰყვა. „ვიტჯორჯია“ უტევდა. „დინამო“ თავს იცავდა და კონტრიერიში ცდილობდა, რაც ხშირ შემთხვევაში გამოსდიოდა კიდეც. მარტო ანჩაბაძეს რამდენიმეჯერ შეეძლო მატჩისთვის ლოგიკური წერტილი დაესვა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. როდესაც მატჩის ძირითადი დრო ამოიწურა, ვიტელებმა დაცვის ხაზი სულ მოაშიშვლეს, რითაც ბოლოს კვირკველიამ ისარგებლა და თანაგუნდელთა უკანასკნელი იერიში გოლით დაასრულა.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

საბა ლომინაძე

დინამო გალიდერდა

მიმოხილვა

არც ზედა, არც ქვედა ექვსეულების, მეორე ტურის მატჩებს უინტერესოდ არ ჩაუვლია. ვინ იფიქრებდა, რომ „ლოკომოტივი“ ბოლნისში დამუხრუჭდებოდა. ალალი და უშეღავათო ორთაბრძოლა „სიონმა“ მოიგო და რკინიგზელებს მედლებისკენ მიმავალ გზაზე სვლა შეუნელა. ამით ისარგებლა თბილისის „დინამომ“ და „ვიტჯორჯიას“ დამარცხების შემდეგ, გაუსწრო ქუთაისის „ტორპედოსაც“, რომელმაც დიდი წვალებით, ნეიტრალურ წყალტუბოს სტადიონზე, თითქოსდა უმოტივაციოდ დარჩენილ „კოლხეთს“, მხოლოდ ქულა გამოსტყუა.

ქვედა ექვსეული შუაზე გაიყო. ბათუმურ „დინამოს“, „მერანი-ოლიმპიელებს და „დილას“, თითქოს, არაფერი ემუქრებათ. აშკარაა, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი სამეული გამოიკვეთა — „მეტალურგი“, „გორდა“, „მილანი“. ვის გაუღიმებს ბედი, ვის ეყოფა დარჩენილი რვა მატჩი იმისთვის, რომ ფსკერს თავი დააღწიოს და უმაღლესში დარჩეს?! ჩემპიონატს ორკვირიანი შესვენების დრო დაუდგა. ახლა საქომაგო ეროვნული ნაკრებია.

I-VI ადგილებისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ)	2	1	0	1	3-2	31
ტორპედო	2	1	1	0	1-0	30
ლოკომოტივი	2	1	0	1	7-2	28
ვიტ-ჯორჯია	2	1	0	1	2-3	28
სიონი	2	1	0	1	2-2	18
კოლხ. 1913	2	0	1	1	0-6	16

VII-XII ადგილებისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (ბთ)	2	2	0	0	3-0	16
მერ-ოლიმპი	2	1	0	1	4-1	15
დილა	2	1	1	0	2-0	15
მეტალურგი	2	0	0	2	0-6	10
გორდა	2	0	2	0	0-0	9
მილანი	2	0	1	1	0-2	8

ტურის სტატისტიკა

წყალტუბო. 23 მარტი. 26 მაისის სტადიონი. 1500 მაყურებელი

ტორპედო – კოლხეთი 1913 0-0

ტორპედო: ჭანტურია, მახვილაძე, ხვადაგიანი, ნერგაძე, კვეტენაძე, პოროშინი, ბაბუნაშვილი, თოდუა, ახალკაცი (ქუთათელაძე 12), იონანიძე, ჩხეტიანი (ლალაძე 66).

კოლხეთი: ა. ლაბაძე, გოროზია, დარსანია, ქობულაძე, გაბიდაური, შ. ღონღაძე, ტულუში, გაგუა (თ. მალანია 73), კრასოვსკი, ქუტიძე, ნარსია.

გააფრთხილეს: მახვილაძე (35), გაგუა (38), კრასოვსკი (40), გოროზია (63).

გააძევეს: გოროზია (72).

მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

ზესტაფონი. 22 მარტი. ცენტ. სტადიონი. 500 მაყურებელი.

მეტალურგი – მერანი-ოლიმპი 0-4

მეტალურგი: ღვინიანიძე, მიქაბერიძე, წიქარიშვილი (მ. გელაშვილი 18), გოგაძე, კვანტრიშვილი, მანჯავიძე, კაციაშვილი, თავბერიძე (მამუკაშვილი 67), შველიძე (კაპანაძე 31), ჭუმბურიძე, ნიშნიანიძე.

მერანი: ხაჭაპია, ნადირაშვილი, ხარებავა, დავითნიძე (მალაზონია 77), მიქიაშვილი, მესხი, მიკუჩაძე, გოგიჩაიშვილი (გ.ნოდ. ჭელიძე, 56) გ. ნუგ. ჭელიძე, ხოჯავა, ელიავა (კიკაჩეიშვილი 65).

გოლები: 0-1 მიკუჩაძე (3), 0-2 გ. ნუგ. ჭელიძე (20), 0-3 ხოჯავა (43) 0-4 გ. ნუგ. ჭელიძე (65).

გააფრთხილეს: ხარებავა (12), კაციაშვილი (37), კაპანაძე (59)

მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი).

გორი. ცენტრ. სტადიონი. 1000 მაყურებელი

დილა – გორდა 0-0

დილა: გ. სომხიშვილი, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, საყვარელიძე, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, გილაური, მორჩილაძე (მარლიშვილი 39), რაზმაძე, ფეზუაშვილი.

გორდა: ბედიაშვილი, კედელაშვილი, არსოშვილი, ბერიძე, ლ. სილაგაძე, ჩხაიძე, ბ. ნოზაძე, ზ. ლაბაძე, ჯელაძე, მიქავა (ჩოხელი 53), ლ. ალადაშვილი (სოზაშვილი 86).

გააფრთხილეს: ბერიძე (38), ლაბაძე (83), ბ. ჩიტაია (89).

გააძევეს: ზ. ლაბაძე (83)

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ბათუმი. 22 მარტი. ცენტრ. სტადიონი. 500 მაყურებელი.

დინამო (ბთ) – მილანი 2-0

დინამო: ქვაჩახია, მახარაძე, გურეშიძე, თედორაძე, ქაცარავა, ი. შენგელია, ცანავა (დარჩიძე 46), რომანაძე (დუმბაძე 60), ფირცხალაიშვილი, მოდებაძე (ფურცხვანიძე 67), კობიძე.

მილანი: მამალაძე, რობაქიძე, ლამბაშიძე, აკობია, მეტონიძე, ბარამიძე, მ. სამხარაძე, ბაჯელიძე, ბოჭორიშვილი (მელაძე 46), ჯაფარიძე, მედოევი.

გოლები: 1-0, 2-0 მოდებაძე (28, 46).

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

ბოლნისი. 22 მარტი. თ. სტეფანიას სახ. სტადიონი, 2500 მაყურებელი

სიონი – ლოკომოტივი 2-1

სიონი: ვოლკოვი, ხუჯაძე, ბურნაძე, ფანჩულიძე, გოგიტაძე, სვანაძე (ირემაშვილი 46), გაბისკირია, შავგულიძე, წივწივაძე, დაუშვილი (ბაქრაძე 81), კოშკაძე (ე. გვასალია 70).

ლოკომოტივი: ლომაია, რ. ონიანი, კაკაშვილი (თ. ბურნაძე 20), ორბელაძე, ლაშა სალუქვაძე, გ. კვარაცხელია, სოსელია (ჭიჭველიშვილი), სირაძე, ზ. ლაცაბიძე, ძოძუაშვილი (კაიდარაშვილი, 64), ნ. ეშუანი.

გოლები: 1-0 გაბისკირია (2), 1-1 რ. ონიანი (48), 2-1 შავგულიძე (52 პ) 73-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა კაიდარაშვილმა.

გააფრთხილეს: შავგულიძე (36), კვარაცხელია (36)

გააძევეს: ბურნაძე (73)

მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

ბომბარდირები:

17-17 იონანიძე (ტორპედო), მელქაძე (ვიტჯორჯია).

მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების 50 წლის იუბილეს ულოცავს თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ვეტერან ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს (1978), თასის (1979), ევროპის თასების თასის მფლობელს (1981), საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორს, საფეხბურთო კლუბ „მერანი-ოლიმპის“ მენეჯერს, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ოთარ გაბელიას.

101
ვარჯიში
7-11 წლის ბიჭი
ფეხბურთელებისთვის
პირველი
ნაბიჯები
საფეხბურთო
ოსტატობის
მწვერვალისკენ

თავი 5
დარტყმა კარში

ბავშვებისთვის ეს ყველაზე მიმზიდველი ელემენტია თამაშში. მით უფრო მნიშვნელოვანია ვასწავლოთ მათ ამ ილეთის სწორი ტექნიკა. ბუნებრივია, თითოეულ მათგანს სურს გოლის გატანა, ისე როგორც ნებისმიერი ასაკის მოთამაშეს. ამასთან, სწორედ ამ ადრეულ წლებში ხან თანატოლები, ხან მწვრთნელები, ხან მშობლები თუნდაც ქვეცნობიერად, თავისდაუნებურად, ბიჭუნაზე (გოგონაზე) ახდენენ ზეწოლას, ითხოვენ რა განუწყვეტლივ გოლის გატანას, ეს კი არაკეთილსასურველ გავლენას ახდენს დარტყმის ტექნიკაზე. ასეთ მიდგომას მივყავართ შებოჭვამდე, ყურადღების ჩახშობამდე, რაც თავის მხრივ ნეგატიურ გავლენას ახდენს მოძრაობის კოორდინაციაზე. მოზარდები იძულებულნი ხდებიან მთელი ძალა ჩადონ დარტყმაში, ბურთი კი მიფრინავს ტრიბუნებისკენ, ნაცვლად იმისა, რომ მოთამაშემ წყნარად და გააზრებულად გაგზავნოს იგი მიზანში! მწვრთნელი ვალდებულია დაეხმაროს მოთამაშეებს ყურადღება გაამახვილონ სახელდობრ მხოლოდ ტექნიკურ და ზუსტი დარტყმის შესასრულებაზე: მზადების ამ ეტაპზე დარტყმის დაყენების პროცესი შედეგზე უფრო მნიშვნელოვანია.

ვარჯიში 36



ამოცანა. დარტყმის დამუშავება კედლის გათამაშების შემდეგ.

ორგანიზაცია და შინაარსი. მოთამაშეები ბურთით განლაგდებიან საჯარიმო მოედნის ხაზთან სახით მწვრთნელისაკენ, რომელიც თავის მხრივ დგება კარის გვერდითი ძელიდან მოედანზე 6-10 მეტრში, კარში მეკარეა. გვერდით ძელთან მდგომი თითო ასისტენტები ბურთს რიგრიგობით აწვდიან მწვრთნელს, რომელიც თავის მხრივ საპასუხო პასს აწოდებს მოძრაობაში მყოფ მოთამაშეს მარჯვენა ან მარცხენა კარში დასარტყმელად. დამრტყმელი ბურთს იბრუნებს კარის გვერდით მდგომი მომწოდებლისგან და მათთან ერთად დგება ჯგუფის ბოლოში. და ა.შ. რიგრიგობით.

ინვენტარი. თითო ბურთი თითო მოთამაშეზე.

რეკომენდაცია. ვარჯიშის გართულება შეიძლება დარტყმის კუთხის შეცვლის ხარჯზე და კარამდე მანძილის გაზრდით.



ვარჯიში 37



ამოცანა. დარტყმის დამუშავება ბურთის მიწაზე დაუშვებლად ახლო მანძილიდან.

ორგანიზაცია და შინაარსი. ორი მოთამაშე ბურთების მარაგით დგება ბადეგაჭიმული კარის გვერდით ძელთან, 4-8 მეტრის დაშორებით განლაგდება მოთამაშეთა მწკრივი. მომწოდებლები ესვრიან ბურთს დაბლიდან ხელით თითოეულისკენ, რომელიც გამორბის, რომელიც თავის მხრივ არტყამს ბურთს მიწაზე დაუშვებლად ბადეში, შემდეგ ბრუნდება ჯგუფის ბოლოში. მომწოდებლებმა უნდა იმოქმედონ სწრაფად, რათა შეინარჩუნონ ვარჯიშის მაღალი ტემპი.

ინვენტარი. საკმარისად ბურთების მეტი მარაგი, კარი საწვრთნო ბადით.

რეკომენდაცია. დაითვალეთ ბურთები, რომელიც გავიდა ცარიელ კარში, შეზღუდულ დროში, შეზღუდულ გადაცემათა რაოდენობისას.

ვარჯიში 38



ამოცანა. რეაქციის სისწრაფის სრულყოფა დარტყმისას.

ორგანიზაცია და შინაარსი. მოთამაშეთა ორი ჯგუფი განლაგდება სახით კარისკენ 8-10 მ. დაშორებით, რომელსაც იცავს მეკარე. მწვრთნელი, რომელსაც ფეხებთან აქვს ბურთები, ადგილს იკავებს მწკრივებს შორის ცენტრში. მწკრივებიდან პირველი ნომრები ჯდებიან გაზონზე და მწვრთნელი ბურთს გზავნის მათ შუა. მოთამაშეები გამორბიან და მისისწრაფიან ბურთისკენ. ვინც ასწრებს ბურთთან, ურტყამს კარში. ის ბრუნდება და აძლევს ბურთს, მწკრივიდან შემდეგი ორი კი იმეორებს იგივე ვარჯიშს და ა.შ.

ინვენტარი. ბურთების მარაგი.

რეკომენდაცია. მწვრთნელს შეუძლია გაართულოს გადაცემა ან დააჩქაროს ტემპი.

მალკოლმ კუკი

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „ლელო“ №7-20

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ძოძუაშვილის დიდი გამარჯვება მოსკოვში

ტრადიციულად, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატების მიმოხილვას ევროპული „გრანდებით" ვიწყებდით. დღეს კი რუსეთის ჩემპიონატის მეორე ტურის მიმოხილვით დავიწყებთ, ამის საფუძველიც გვაქვს: რევაზ ძოძუაშვილის „სპარტაკ-ალანიამ" მოსკოვში, ლეგენდარული „სპარტაკი" დაამარცხა...

პირველ ტურში, საკუთარ მოედანზე მოსკოვის „დინამოსთან" მარცხის შემდეგ ძოძუაშვილი და მისი შეგირდები ფსიქოლოგიურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ცხადია, ისინი გამარჯვების წყურვილით ჩავიდნენ რუსეთის დედაქალაქში. ვლადიკავკაზელებმა მოსკოვის „სპარტაკი" ორივე ტაიმში დაჯაბნეს. ანგარიში მიხოლაპმა გახსნა მე-19 წუთზე, თუმცა 15 წუთში მოსკოველებმა წონასწორობა აღიდგინეს. მეორე ტაიმში ბაზაევის მიერ 64-ე წუთზე გატანილი გოლი „სპარტაკ-ალანიასათვის" გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა (2-1).

სპარტაკი — სპარტაკ-ალანია

ამ შეხვედრაში ძოძუაშვილის გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:

გონჩაროვი, პაგაევი, ვანდერლეი, ბლაგონადეჟდანი, იევიჩი, ტარლოვსკი (გიკაევი), ვერზიევი, მენთეშაშვილი, ბაზაევი (აილაროვი), აშვეთია, მიხოლაპი (გულიევი).

[illegible] ჩემპიონატში მოსკოველ „ლოკომოტივმა" საკუთარ მოედანზე მარცხი იწვნია სანკტ-პეტერბურგის „ზენიტისაგან" (1-0).

სხვა მატჩები: „როტორი" — ცსკა 1-2, „ჩერნომორეცი" — „ურალანი" 1-1, „რუბინი" — „ტორპედო" მეტალურგი 1-0. „დინამო" — „კრილია სოვეტოვი" — 2-1, „სატურნი" — „ტორპედო" 2-0. „როსტოვი" — „შინიკი" 1-1.

ორი ტურის შემდეგ 6-6 ქულა აქვთ ცსკას, „ზენიტსა" და მოსკოვის „დინამოს". რაც შეეხება „სპარტაკ-ალანიას", ეს უკანასკნელი 3 ქულით მეშვიდე ადგილზე იმყოფება.

ახლა სხვა ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებს გადავხედოთ: **იტალიის „სერია ა"-ს 26-ე ტურში** შედგა ცენტრალური შეხვედრა „მილანსა" და „იუვენტუსს" შორის. კახი კალაძის თანაგუნდელებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, რათა ერთპიროვნულ ლიდერთან „ბებერ ქალბატონთან" სხვაობა შეემცირებინათ.

„მილანმა" დიდებული ფეხბურთი უჩვენა და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა. ანგარიში ანდრეი შევჩენკომ გახსნა მე-4 წუთზე, თუმცა 6 წუთში ნედვედმა წონასწორობა აღადგინა. ამას „მილანი" არ დაუბნევია — პირიქით, უფრო ორგანიზებულად ათამაშდა და 25-ე წუთზე ფილიპო ინძაგიმ გადამწყვეტი გოლი გაიტანა „იუვენტუსის" კარში (2-1). მეორე ტაიმში ტურინელები ამაოდ ცდილობდნენ გოლის გატანას. „მილანმა" საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

„ინტერი" სტუმრად დამარცხდა „უდინეზესთან" 1-2.

სხვა მატჩები: მოდენა" — „რეჯინა" 2-1, „პარმა" — „ლაციო" 2-1, „რომა" —„პიაჩენცა" 3-0, „ატალანტა" — „კიევო" 1-0, „კომო" — „ბოლონია" 5-1, „ტორინო" — „პერუჯა" 2-1, „ემპოლი" — „ბრეშია" 0-0.

სატურნირო ცხრილს 57 ქულით კვლავ „იუვენტუსი" ლიდერობს, რომელსაც 3 ქულით ჩამორჩება „ინტერი". 52 ქულით მესამე ადგილზეა „მილანი".

ბერმანიის ბუნდესლიგაში კი მიუნხენის „ბაიერნის" ჩემპიონობა უკვე ეჭვს არ იწვევს. ამ გუნდმა მორიგი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად „ ჰანზასთან" 1-0, გაუხდა 62 ქულა და ახლა 15 ქულით უსწრებს დორტმუნდის „ბორუსიას", რომელმაც ფრედ დაასრულა (0-0) შეხვედრა „არმინიასთან".

„კაიზერსლაუტერნმა" ლევერკუზენის „ბაიერს" მოუგო (1-0) და უკვე მე-11 ადგილზეა. ლევერკუზენელები კი „სახიფათო ზონაში" აღმოჩნდნენ.

სხვა მატჩები: „ვოლფსბურგი"— „ბოხუმი" 2-0, „ვერდერი" — „ჰანოვერი" 1-2, „მიონხენგლადბახი" — „ჰამბურგი" 2-0, „შალკე" — „მიუნხენი" 1-1, „ჰერტა" — „კოტბუსი" 3-1, „შტუტგარტი" — „ნიურნბერგი" 0-2.

მეორე ბუნდესლიგაში ქართველების „ფრაიბურგმა" 5-2 სძლია „ობერჰაუზენს". (ერთი გოლი იაშვილის ანგარიშზეა) და 51 ქულით მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ „კიოლნის" შემდეგ. მესამე საფეხურზე მყოფ „აინტრახტს" 47 ქულა აქვს.

ინგლისის პრემიერლიგაში „არსენალი" ისევ ორქულიან უპირატესობას ინარჩუნებს „მანჩესტერ იუნაიტედთან". 31-ე ტურში ორივე გუნდმა მოიპოვა გამარჯვებები: მანჩესტერელებმა 3-0 გაანადგურეს „ფულემი", ხოლო „არსენალმა" 2-1 დაამარცხა „ევერტონი".

სხვა მატჩები: „მიდლსბრო" — „ჩარლტონი" 1-1, საუთჰემპტონი" — „ასტონ ვილა" 2-2, „ვესტ ჰემი" — „სანდერლენდი" 2-0, „ბირმინგემი" — „ვესტ ბრომვიჩი" 1-0, „ჩელსი" — „მანჩესტერ სიტი" 5-0, „ნიუკასლი" — „ბლექბერნი" 5-1, „ლივერპული" — „ლიდსი" 3-1.

ესპანეთის პრემიერდივიზიონის 27-ე ტურში „რეალმა" 2-0 დაამარცხა „დეპორტივო" და 57 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა. 3 ქულით ნაკლები აქვს „რეალ სოსიედადს", რომელიც ბოლო წუთამდე 2-0 უგებდა „ვილიარეალს", მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ ოთხ წუთში ორი გოლი გაუშვა და შეხვედრა ფრედ (2-2) დასრულდა.

სხვა მატჩები: „რაიო ვალეკანო" — „ატლეტიკო" 0-0, „ბარსელონა" — „რასინგი" 6-1, „სელტა" — „ბილბაო" 2-1, „მალიორკა" — „ვალიადოლიდი" 2-1, „სევილია" — „ალავესი" 3-2, „ვალენსია" — „ესპანიოლი" 1-1, „მალაგა" — „ბეტისი" 1-1, „უელვა" — „ოსასუნა" 1-1.

საფრანგეთის ჩემპიონატში კვლავ ორხელისუფლებიანობაა. „მონაკოს" და „მარსელს" 55-55 ქულა აქვთ. ერთი ქულით ჩამორჩება მათ „ლიონი". 31-ე ტურში „მარსელმა" და „მონაკომ" სტუმრად დაამარცხეს შესაბამისად „მონპელიე" (2-1) და „ჰავრი" (3-0).

სხვა მატჩები: „გენგამი" — „ტრუა" 2-0, „ლილი" — „ბასტია" 1-1, „სტრასბური" — „სოშო" 1-3, „ოსერი" — „ლანსი" 0-0 „აიაჩო" — „რენი" 1-0, „პსჟ" — „სედანი" 2-0, „ბორდო" — „ნანტი" 0-0, „ნიცა" — „ლიონი" 0-1.

ჰოლანდიის ჩემპიონატის 25-ე ტურში „პსვ „ეინდჰოვენმა" 2-0 სძლია „აიაქსს" და ახლა უშუალო კონკურენტს 10 ქულით უსწრებს.

სხვა მატჩები. „ექსელსიორი" — „ცვოლე" 0-1, „ფეიენოორდი" — „ჰერენვენი" 5-0, „როდა" — „ნაიმეგენი" 2-1. „როზენდალი" — „ვიტესი" 3-1, „ალკმაარი" — „გრაფსხაპი" 3-1, „ტვენტე" — „ვალვაიკი" 2-1, „უტრეხტი" — „გრონინგენი" 0-0, „ბრედა" — „ვილემი" 0-0.

ჰერტა — კოტბუსი

რონალდინიო თავს კარგად გრძნობს

რონალდინიო

ბრაზილიელი რომარიოსადმი ევროპული გრანდები „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ინტერი" ავლენენ ინტერესს, თუმცა თავად ფეხბურთელის თქმით, ის ძალიან კარგად გრძნობს თავის ამჟამინდელ კლუბში — „პარი სენ ჟერმენში".

„ვერ გეტყვით, თუ სად ვითამაშებ მომავალ სეზონში, თუმცა ამჟამად ფრანგულ კლუბში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. — გვაქვს ჩემპიონობის ძალიან კარგი შანსი" — ამბობს რონალდინიო, რომელსაც რამდენიმე დღის წინ 23 წელი შეუსრულდა.

ვან დერ ვაარტი ჰოლანდიის ნაკრებში

„აიაქსის" ნახევარმცველი რაფაელ ვან დერ ვაარტი ჰოლანდიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა. ის ჩეხებთან მატჩის წინა შეკრებაზე გამოიძახა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა. გამოძახებულ ფეხბურთელთა შორისაა „პარი-სენ-ჟერმენის" მცველი ანდრე ოიერი. სამაგიეროდ, ჰოლანდიის ნაკრებს ვერ დაეხმარებიან ფილიპ კოკუ და ედვინ ვან დერ საარი.

ნაკრების კაპიტანი კვლავ ფრანკ დე ბურია. თუკი ეს უკანასკნელი ჩეხებთან თამაშში იასპარეზებს, გახდება პირველი ჰოლანდიელი, რომლის მიერ ქვეყნის უმთავრეს გუნდში ნათამაშევი მატჩების რაოდენობა 100-ს მიაღწია.

რობერ პირესიც ომის წინააღმდეგია



ლონდონის „არსენალის" ნახევარმცველმა რობერ პირესმა განაცხადა, რომ მზად არის, შეუერთდეს ერაყში გაჩაღებულ ომის საწინააღმდეგო კომპანიას. „დღეს რაც ხდება მსოფლიოში, სერიოზულად დაფიქრებას მოითხოვს. თუ კი საჭირო იქნება, პროტესტის გამოსახატავად ყველა ევროპული ქვეყნის ჩემპიონატები უნდა შეწყდეს," — ამბობს პირესი (სურათზე).

ლაუდრუპი „ბარსელონაში" არ დაბრუნდება



ესპანური საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა" ცდილობს, როგორმე გადაიბიროს თავდამსხმელი ხოსე მარი, რომელიც იტალიური „მილანის" კუთვნილებაა, თუმცა არენდითაა გაცემული „ატლეტიკოში", რომელიც ასევე ცდილობს ამ ფეხბურთელის დატოვებას, თუმცა ამას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი იტალიურ გუნდი 8 მილიონ ფუნტს გადაიხდის.

„ბარსელონა" კი ხოსე მარიში პატრიკ კლუივერტის შემცვლელს ხედავს (ეს უკანასკნელი უახლოეს ხანში კატალონური კლუბის დატოვებას აპირებს).

რაკი „ბარსელონაზე" ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, რომ ბოლო დროს პრესაში გავრცელდა ინფორმაცია გუნდში მთავარი მწვრთნელის პოსტზე მიქაელ ლაუდრუპის შესაძლო დანიშვნის თაობაზე, თუმცა თავად ლაუდრუპმა კატეგორიულად უარყო ესპანეთში დაბრუნების შესაძლებლობა. ლაუდრუპი ახლა დანიურ „ბრონდბიუს" წვრთნის.

გაზაევი ნაკრების კანდიდატთა მომზადებით კმაყოფილია

რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა კმაყოფილება გამოთქვა გუნდის კანდიდატთა თამაშით რუსეთის ჩემპიონატის მეორე ტურში. ამის შესახებ მან განაცხადა კიდეც ანკონას აეროპორტში, სადაც რუსეთის ნაკრები ალბანელებთან ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის მზადების მიზნით ჩაფრინდა.

„ყველა ფეხბურთელმა, ვინც ნაკრებში გამოვიძახე, კარგი თამაში აჩვენა რუსეთის ჩემპიონატში, სადაც მხოლოდ ორიოდე ტურია გასული, იმედი მაქვს, ისინი უფრო მოუმატებენ მომავალში".

ერიქსონმა შემადგენლობა დაასახელა

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ლიხტენშტეინისა და თურქეთის ნაკრებთა წინააღმდეგ იასპარეზებს.

მეკარეები: დევიდ ჯეიმსი, პოლ რობინსონი, რიჩარდ რაიტი.

მცველები: გარი ნევილი, დენი მილსი, უეინ ბრაიჯი, რიო ფერდინანდი, სოლ კემპბელი, გარეტ საუთ გეიტი, ჯონათან ვუდგეიტი, ჯონ ტერი.

ნახევარმცველები: ნიკი ბატი, დევიდ ბექჰემი, პოლ სქოულზი, სტივენ ჯერარდი, დენი მერფი, კაერონ დაიერი, ჯერმაინ ჯენასი, ოუენ ჰარგრივზი, ფრენკ ლემპარდი.

თავდამსხმელები: მაიკლ ოუენი, ემილ ჰესკი, დერიელ ვასელი, ფრენსის ჯეფერსი, უეინ რუნი.

ბრაზილიელი ავსტრიის ნაკრებში?

ხვალ ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს საბერძნეთის გუნდთან, ხოლო 2 აპრილს — ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ჩეხეთის ნაკრებთან. ავსტრალიელთა მთავარმა მწვრთნელმა ჰანს კრანკლმა სხვა ფეხბურთელებთან ერთად გამოიძახა ბრაზილიურ კლუბ „პონტე პრეგას" 22 წლის მოთამაშე ადრიანო ლააბერა, მეტსახელად —„ადრიანინიო"... თურმე ბრაზილიელის წინაპრები დაბადებულან ამჟამინდელ ჩეხეთის ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. პირველი მსოფლიო ომის დროს, ლააბერას ოჯახმა ბრაზილიას მიაშურა.

ადრიანოს არასდროს უთამაშია ბრაზილიის ნაკრებში, სწორედ ამიტომაც გამოიძახა იგი ავსტრიის ნაკრების თავკაცმა.

სომხეთის ნაკრებს სტოიკიცი უხელმძღვანელებს

არგენტინელი სპეციალისტის ოსკარ ლოპესის წასვლის შემდეგ სომხეთის ფეხბურთელთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ვაკანსია რუმინელი იხაი სტოიკიცით შეავსო.

ანდრეი შევჩენკო: „ესპანელებთან საგოლე მომენტები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ"

უახლოეს შაბათს უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრებს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ელის ესპანეთის გუნდთან. უკრაინელთა გუნდის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს „მილანის" ფორვარდზე ანდრეი შევჩენკოზე, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა სერია „A"-ს მატჩში „იუვენტუსის" წინააღმდეგ.

ესპანელებთან მძიმე მატჩი გველის. მთავარია ის მომენტები, რომლებსაც შევქმნით ესპანელთა კართან, მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ამავე დროს უნდა მოვახდინოთ ესპანეთის ნაკრების ყველაზე ძლიერი რგოლების — ნახევარდაცვისა და თავდასხმის ნეიტრალიზება. ეს ძნელი იქნება, ამიტომ ერთიანი ძალით, შეთანხმებული თამაშით უნდა ვაჯობოთ მეტოქეს", — ამბობს ანდრეი შევჩენკო.

მისი აზრით, უკრაინელთა გუნდის კარის ძირითადი საფრთხე რა თქმა უნდა, რაულისგან გამომდინარეობს.



„ყურადღებით თამაში არის საჭირო მის წინააღმდეგ, რაული თავდამსხმელია, რომელიც ძალიან ბევრს მოძრაობს," — თვლის შევჩენკო.

რაც შეეხება უკრაინის ნაკრების პერსპექტივებს, ანდრეი ამბობს „დასანანი ქულა" დავკარგეთ ერევანში. 2-0 ვაგებდით და ბოლო წუთებში ორი გოლი გავუშვით. ეს ტრაგედია მაინც არ არის, — შეცდომები ყველას მოსდის. რაც შეეხება ჯგუფიდან გასვლას, ამაზე საუბარი ესპანელების დამარცხების შემდეგ შეიძლება..."

ბილეთების ფული დააბრუნეთ!

ინგლისის პრემიერლიგის მორიგ ტურში „ჩელსისთან" გამანადგურებელი მარცხის (0-5) შემდეგ, „მანჩესტერ სიტის" მთავარმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა ფეხბურთელები გაკიცხა.

„ასეთი თამაშით, მალე პრემიერ-ლიგადან გავვარდებით. გულშემატკივრები მებრალება, რომლებმაც თანხა გადაიხადეს ბილეთებში. მე შევთავაზე ჩემს ფეხბურთელებს, დაებრუნებინათ ფული გაწბილებულ გულშემატკივრებისთვის", — განუცხადა მოგვიანებით კევინ კიგანმა ჟურნალისტებს.

კრესპო 6 აპრილს დაბრუნდება

როგორც იტალიური „გაზეტა დელო სპორტი" იუწყება, მილანის „ინტერის" არგენტინელი ფორვარდი ერნარ კრესპო მოედანზე 6 აპრილს დაბრუნდება „რომასთან" მატჩში.

კრესპოს 12 იანვრის შემდეგ არ უთამაშია. მის დაბრუნებას მოუთმენლად ელის „ინტერის" მთავარი მწვრთნელი ექტორ კუპერი, რომელსაც თავდასხმის ხაზზე ბოლო პერიოდში სერიოზული პრობლემები შეექმნა.

ნბა

აუტსაიდერმა „კლივლენდმა" „ნიუ-ჯერსს" აჯობა

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში ერთობ მოულოდნელობა იყო აუტსაიდერ „კლივლენდის" გამარჯვება საკუთარ მოედანზე ერთ-ერთ ლიდერ „ნიუ-ჯერსთან" — 93:88. მასპინძელთა გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ქიდრენას ილგაუსკასმა, რომელმაც 29 ქულა მოაგროვა.

„ლეიკერსს" ვერ უშველა ო'ნილის შედეგიანმა (32 ქულა) თამაშმა. ეს გუნდი 89:98 დამარცხდა „სან ანტონიოსთან".

„დეტროიტი" — „ჩიკაგო"

ვლადიმერ სტეფანიას „მაიამიმ" შინ „ორლანდოსთან" წააგო — 74:96.

„გოლდენ სტეიტთან" შეხვედრაში მაიკლ ჯორდანმა 24 ქულა მოაგროვა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა „ვაშინგტონის" გამარჯვებისათვის. „გოლდენ სტეიტმა" გაიმარჯვა 113:107. ამ გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო არენასი, რომლის ანგარიშზეც 41 ქულაა.

სხვა მატჩები: „საკრამენტო" — „ჰიუსტონი" 109:108, „დეტროიტი" — „ჩიკაგო" 105:82. „ტორონტო" — „ფილადელფია" 95:112.

ფორმულა-1

რაიკანენმა მალაიზიის „გრან-პრი" მოიგო

„ფორმულა-1"-ის მორიგი ეტაპი — მალაიზიის „გრან-პრი" მოულოდნელი შედეგით დასრულდა. რბოლის დასაწყისშივე მსოფლიოს ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, რომელიც მესამე პოზიციაზე იმყოფებოდა, შეეცადა ჩამოეტოვებინა „რენოს" ავტოპილოტი იარნო ტრული, თუმცა ამ უკანასკნელმა გზა გადაუჭრა და შუმახერი იძულებული შეიქნა, საკუთარ „ფერარით" „რენო" ტრასიდან გაეთრია.

კიმი რაიკანენი

ავარიის შედეგად დაზარალდა მონტოიაც, რომლის მანქანასაც დეტალი გაუფუჭდა, ახლით შეცვლას რამდენიმე წუთი დასჭირდა. ტრასაზე დაბრუნებულ მონტოიას კი გამარჯვების შანსი აღარ ჰქონდა.

იგივე ბედი ეწია შუმახერსაც. იმ დროისათვის პირველ პოზიციაზე ფერნანდო ალონსო („რენო") იყო, მას მისდევდნენ კულტჰარდი, ჰაიდფელდი, რაიკანენი. „რენოს" პილოტს მალე საწვავი გაუთავდა და ბაკის შევსებისათვის „ბოქსში" შეიარა, მალე კულტჰარდის მანქანაც მწყობრიდან გამოვიდა. ამ მომენტით კარგად ისარგებლა და დაწინაურდა კიმი რაიკენენი („მაკლარენი"). მან სისწრაფეს უმატა და უახლოესი მდევრები საკმაოდ დიდი მანძილით ჩამოიტოვა და ფინიშთანაც პირველი მიიჭრა. ეს იყო მისი პირველი გამარჯვება „ფორმულა 1"-ის სერიაში.

„ბედნიერი ვარ, რომ გრან-პრი მოვიგე, ეს ხომ პირველად მოხდა! სტარტი მეშვიდე პოზიციიდან ავიღე, ის ადგილი, სადაც ავარია მოხდა, შეუფერხებლად გავიარე და წინ გავიჭერი. ფანტასტიური რბოლა იყო. იმედი მაქვს წარმატებით ვიასპარეზებ მომავალ „გრან-პრიზზეც" — განაცხადა კიმი რაიკანენმა.

შუმახერმა აღიარა, რომ თავად არის დამნაშავე

„ფორმულა 1" რბოლებში მსოფლიო ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა მალაიზიის „გრან-პრის" დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ ავარიაში, რომელშიც მას შეემთხვა რბოლის დროს, თავად არის დამნაშავე. საქმე ის არის, რომ მიხაელი თავად შეეჯახა იარნი ტრულის „რენოს". საინტერესოა, რომ შუმახერს ასე ცუდად სეზონი არ დაუწყია 1998 წლის შემდეგ. ის ახლა გამოუვალ სიტუაციაშია: აუცილებლად უნდა მოიგოს მომდევნო, — ბრაზილიის „გრან-პრი", წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე საგრძნობლდად ჩამორჩება მეტოქეებს.

იმავე აზრზეა „ფერარის" ხელმძღვანელობა. გუნდის დირექტორი ჟან ტოდტი ამბობს: „კარგად ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგე გუნდებმა პროგრესი განიცადეს, რაც გასულმა ორმა „გრან-პრიმაც" კარგად დაგვანახვა. უკეთ უნდა მოვემზადოთ შემდეგი შეჯიბრებისთვის.

სერბიისა და ჩერნოგორიის ნაკრებს ვუეშევიჩი გაწვრთნის

სერბიისა და ჩერნოგორიის (ყოფილი იუგოსლავიის) კალათბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაასახელა ქვეყნის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობა — დუშკო ვუეშევიჩი. ეს 44 წლის სპეციალისტი მიმდინარე წელს სათავეში ჩაუდგა ბელგრადის „პარტიზანს". საინტერესოა, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვუეშევიჩის კანდიდატურა ერთადერთი იყო: ძველმა კანდიდატებმა ბოჟიდარ მალკოვიჩმა („უნიკასა") და დუშკო ივანოვიჩმა („ტაუგრესი") უარი განაცხადეს ამ თანამდებობაზე.

უახლოეს ხანში გაირკვევა ვუეშევიჩი ორივე გუნდთან იმუშავებს შეთავსებით თუ დატოვებს „პარტიზანს".

ოთარ დიდებულიძე

შესანიშნავად ამართლებდა თავის გვარს, მართლაც რომ დიდებული პიროვნება იყო, პატიოსნებით, ადამიანების პატივისცემითა და სიყვარულით აღსავსე, ყველას მომფერებელი და მომკითხავი, ქართული სპორტული მოძრაობის ისტორიის სიამაყე. აი, ასეთი კაცი წავიდა 90 წლისა ამქვეყნიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტამდე დამთავრებული ჰქონდა პოლიტექნიკური სასწავლებელი, მთელი თავისი ცხოვრება სპორტს დაუთმო. ქართველ მოფარიკავეთა უფროსი თაობა, რომელიც საფუძველს უყრიდა ჩვენში სპორტის ამ სახეობას, განსაკუთრებით აფასებდა მის ღვაწლს. პირველი სპორტის ოსტატიც ის გახდა საქართველოში. მერე სამწვრთნელო ასპარეზზეც მოსინჯა შესაძლებლობები და აქაც წონადი სიტყვა თქვა. ათეული წლების განმავლობაში მატებდნენ სიძლიერეს ქართულ სპორტს მისი შეგირდები. სხვებთან ერთად მისი გამოზრდილები არიან სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონები გიორგი გოგელია და გურამ დათიაშვილი. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. მსაჯობდა კიდეც — გახდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ო. დიდებულიძემ, როგორც პედაგოგმა, დიდი წვლილი შეიტანა მომავალი სპეციალისტების აღზრდაში ფიზკულტურისა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში მუშაობის წლებში. მეორე მსოფლიო ომშიც გამოიჩინა თავი — მონაწილეობდა პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში და მამაცობისთვის დაჯილდოვდა „გრიუნვალდის ორდენით", მედლებით: „ვარშავის აღებისათვის" და „ოდერის აღებისათვის". საბჭოთა მთავრობამ კი საბრძოლო „წითელი დროშის ორდენითა" და „სამამულო ომის II ხარისხის ორდენით" დააჯილდოვა.

ქართულ სპორტში გაწეული ამაგისათვის მიენიჭა „საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება, დამოუკიდებელ საქართველოში კი „ღირსების ორდენით" დაჯილდოვდა.

უსაქმოდ ღრმა მოხუცებულობაშიც არ უცხოვრია. როგორც საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აქტიურად ზრუნავდა ღვაწლმოსილი ადამიანების ბედზე, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. დღე არ გავიდოდა რამდენიმე მათგანს თუნდაც ტელეფონით არ შეხმიანებოდა, არ მოეკითხა. ასეთსავე ყურადღებას იჩენდა, საერთოდ, ყველას მიმართ.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი და რაინდული სულის პიროვნება, ადამიანი, რომელშიაც ჰარმონიულად იყო შერწყმული სულიერი და ფიზიკური მომხიბლაობა. შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს ო. დიდებულიძის ამაგს და სამარადისოდ სათუთად შეინახავს მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს სპორტის
სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ფარიკაობის
ეროვნული ფედერაცია

ო. დიდებულიძის პანაშვიდი გაიმართება 25,26.03. 16 საათზე. დაკრძალვა 27.03, 14 საათზე. მისამართი: დიღმის მასივი, V კვ. XII კორპ.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



25 მარტი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (21.50), *მე-9 არხი.* მსოფლიო რაგბი (14.45), ევროპის სტადიონებზე (20.00), როსია. ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. სავალდებულო პროგრამა (2.35). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15, 15.45), საფრანგეთის ჩემპიონატი (16.45, 18.25), ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა (19.30), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (20.25), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.05), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.20), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (0.15). ***НТВ плюс порт.*** ჩოგბურთი. „მასტერს სერიესი" (11.45, 23.30), კალათბურთი. ჩემპიონთა თასი. რუსეთის „უნიქსი" — თურქეთის „ტელეკომი" (9.55), ბილიარდის მეფეები (23.00). ***EUROSPORT.*** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა, ოთხთა ფინალი. ვაჟები (12.00, 21.30), ფეხბურთი: (15.30), ევროგოლები (16.00, 22.30), ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00, 23.00).

26 მარტი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. სპორტის სამყარო (21.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45, 20.00), *რუსეთის I-ლი არხი.* ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.15, 4.05). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00), ინგლისის (15.55)), ლიბერტადორესის თასის (17.50), იტალიის (21.40), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (23.05), გერმანიის (1.20) ჩემპიონატების მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „მასტერს სერიესი" (11.45, 0.00). ***EUROSPORT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30, 3.00), ველოსპორტი. მსოფლიო თასი (17.00), ფეხბურთი. უეფა. მიმოხილვა (21.00), საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი (23.15).

27 მარტი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. სპორტის სამყარო (19.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45), *რუსეთის I-ლი არხი.* ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.50, 4.05), როსია. ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (2.45). ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი (4.35, 13.15, 21.00), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.00), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი. ჩემპიონთა ლიგა (16.10, 23.35), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (18.30), „ფუტბოლ მუნდიალი" (23.05), რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.20), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (2.05). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (11.45, 23.00) ბილიარდის მეფეები (17.15), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (22.10), ***EUROSPORT.*** საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი (12.00) ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00, 18.00, 22.00, 3.45, 6.00), ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. შეჯიბრების მე-8 დღე (20.00).

ლიუისმა ტაისონს ერთი კვირის ვადა მისცა

მსოფლიოს უძლიერესმა მოკრივემ ლენოქს ლიუისმა (სურათზე) მაიკ ტაისონს ულტიმატუმი წაუყენა. ამ უკანასკნელმა ერთი კვირის განმავლობაში უნდა მოიფიქროს, შეხვდება თუ არა რინგზე ბრიტანელს. თუკი კვირის ბოლომდე პასუხს არ გასცემს, ლიუისი ახალ მოწინააღმდეგეს მოძებნის.

როგორც იცით, 23 თებერვალს ტაისონმა 49 წამში ნოკაუტში გაგზავნა კლიფორდ ეტიენი. ამ ბრძოლის შემდეგ „რკინის მაიკი" გამოუტყდა ჟურნალისტებს: დრო მჭირდება, რომ ლიუისთან ბრძოლისათვის მზად ვიყო...

ტაისონის ასეთი ორჭოფობა, ცხადია ხელს არ აძლევდა ლიუისის ბანაკს.

საქართველოს ცხენოსნობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი მხედარი, სპორტის ოსტატი

კოკი დგებუაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 25, 26.III, 16 სთ. გამოსვენება: 27.III, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის პლატო, II მ/რ, I კვ., მე-8 კორპ.

საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი ღრმა მწუხარებით იუწყება ოლიმპიური ჩემპიონის

ვიქტორ კრატასიუკის

გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაცია და საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა-ვერე" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა XX საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი ნიჩბოსანი, სპორტის ამ სახეობაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ვიქტორ კრატასიუკი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ნიჩბოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონის

ვიქტორ კრატასიუკის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

კროსვორდი № 21



თარაზულად: 1. საქართველოს ნაკრებისა და „მილანის" ფეხბურთელი, 6. პრიზის სახელწოდება, რომელიც ადრე თბილისის „დინამომ" მოიპოვა ფეხბურთელთა საერთაშორისო ოთხთა ტურნირში, 9. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 10. კრივის ერთ-ერთი საერთაშორისო ფედერაცია, 11. იტალიის საფეხბ. ნაკრების ყოფილი მწვრთნელი,13. გდრ-ის მოჭადრაკე ვაჟი, 14. ბილიარდის ჯოხი. 15. ჰოლანდიის საფეხბ. კლუბი, 17. მძლეოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა, 18. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი.

შვეულად: 1. შეფასება ძიუდოში, 2. იტალიის საფეხბ. ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 3. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, რომელსაც ამ დღეებში 50 წელი შეუსრულდა, 4. სპორტული ჯილდო, 5. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 7. საჭადრაკო ფიგურა, 8. დახელოვნებული სპორტსმენი, კინოტრიუკებში მონაწილე, 12. ქართული ჭიდაობის ილეთი, 14. გერმანიის საფეხბ. ნაკრების მეკარე, 15. სპორტის სათამაშო სახეობა, 16. იგივეა, რაც პატი, 17. სუფთა მოგება ჭიდაობაში.

კროსვორდი №20-ის პასუხები:

თარაზულად: 3. „მერანი", 6. ტურნირი, 8. კუ, 9. კრახი, 11. „ოდრა", 14. მავლიხანოვი, 15. ცურვა, 16. ანკეტილი, 18. ონილი, 20. „სამპდორია". შვეულად: 1. სტარტი, 2. „მიუ", 4. ენდო, 5. ნოკაუტი, 7. რეხვიაშვილი, 10. ბლოხინი, 12. „დეპორტივო", 13. „ლაციო", 17. „ლილი", 19.ბა.

საჭადრაკო ამოცანა

ო. გამულაშვილი (სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლa7!
1. ...dc 2. ლe7X. 1. ...მფ:c6 2. ლb6X.
1. ...d4 2. ე:d4X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე